ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი  პარასკევი 6 აგვისტო 2004 №180 (2201)  ფასი 50 თეთრი


# ჟირესის ავტობუსში





## პატარა მოლდოვა დიდთურქობამდე

...ქართველებს შეტევა უფრო გიყვართ, მეც შემტევებით, გნებავთ, ერთ ავტობუსს ავავსებ, მაგრამ ახლა დაცვის ალღოს მქონე მოთამაშეები უფრო მჭირდება. აქაც ასარჩევად რომ იყოს საქმე, კარგი იქნებოდა.





## ერიკსონს ელამი ფერია და ნაკრები შერჩა

გუშინ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის საგანგებო 12-კაციანმა კომისიამ საიდუმლო სერობა მოაწყო — ლონდონში ყველასგან ფარულად შეიკრიბა და სვენ გორან ერიკსონის საქმე გაარჩია.

ასოციაციის მდივან ფერია ელამის საყვარლობაში ბრალდებულ შვედს თავის მართლება არ დასჭირვებია — კომისიამ ერიკსონს განაჩენი დაუსწრებლად გამოუტანა: ინგლისის ნაკრების მწვრთნელი უდანაშაულოა, სვენ გორან ერიკსონი გუნდს კონტრაქტის თანახმად, 2008 წლამდე უთავკაცებს.





## ვენგერი არსენობს: მდიდარს 42 მილიონ ევროს ართმევს

ისე ჩაიხლართა პატრიკ ვიეირას „რეალში“ ტრანსფერის საქმე, მასში, ვინძლო, კარგი დეტექტივიც ვერ გაერკვეს. გუშინწინ მთელმა ევროპამ დაიჯერა, რომ ფლორენტინო პერესმა სატრანსფერო ბაზარზე კიდევ ერთი სასწაული მოახდინა და 35 მილიონ ევროდ „არსენალს“ ფრანგი კაპიტანი წაჰგვარა, მაგრამ... პატრიკ ვიეირა ჯერ კიდევ ლონდონშია და არსენ ვენგერმაც გუშინ კიდევ ერთხელ თქვა — ვიეირა „არსენალის“ ერთგულიაო.

და კიდევ ერთი, გუშინდელ ესპანურ პრესაში ასეთი ცნობაც გამოჩნდა — ლონდონელებს პერესის 35 მილიონი ეცოტავათ, ფრანგი 42 მილიონად ფასობსო.




# ჟირესის ავტობუსი: შემტევები ჩადით, დამცველები ამოდით

გუშინ ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ალენ ჟირესმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გამართა პრესკონფერენცია, რომელსაც მისი თანაშემწე გია გურული და ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი გოჩა ტყებუჩავაც ესწრებოდნენ. შეკრების მიზეზი საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების სამზადისის დაწყება და იმ ფეხბურთელთა დასახელება იყო, რომლებმაც 18 აგვისტოს მოლდოვაში უნდა ითამაშონ.

ჟირესმა ჩვეული გულღიაობით ისაუბრა. იგი არც ციდან ვარსკვლავების ჩამოკრეფას დაგვპირდა და არც ნაადრევად უმართლებია თავი — საბერძნეთი ევროპის ჩემპიონია და როგორ უნდა მოვუგოთო. ეს კი კარგად გვენიშნა. და ჟირესის ნაუბარი თავად იხილეთ...

...საქართველოს ნაკრებისთვის სეზონი 18 აგვისტოდან იწყება. მოლდოვაში სეზონის პირველი მატჩი და ბოლო რეპეტიცია გვექნება თურქეთისა და ალბანეთის ნაკრებებთან თამაშის წინ. სამწუხარო ისაა, რომ თურქეთთან და ალბანეთთან მხოლოდ ოთხდღიანი ინტერვალი გვექნება. ამის შემდეგ უკრაინისა და დანიისთვისაც გვექნება ერთი შეკრება და ამხანაგური მატჩი. წლევანდელი სეზონი ნაკრებისთვის ამ თამაშებით დასრულდება.

...მე ჯგუფიდან ასპროცენტიანი გასვლის გარანტიას ვერავის მივცემ. საერთოდ, პროცენტების ანგარიში ბუქმეიკერების საქმეა და არა მწვრთნელების. პრობლემა ისაა, თუ გასვლაზე ნული პროცენტი გექნება. საქართველოს ნაკრებს დიდ სანაკრებო ფორუმებზე ჯერ არ უთამაშია და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა დასახულ მიზანს მივაღწიოთ. ჩვენ მონდომებას და თავდადებას არ დავაკლებთ და ჯგუფური ეტაპის დასაძლევად მაქსიმუმს გავიღებთ.

...მოლდოვასთან მატჩს ნაკრების შესათამაშებლად მაქსიმალურად გამოვიყენებთ. სწორედ ამ შეხვედრაში უნდა გამოჩნდეს ჩემი ფეხბურთელების სათურქეთო მზადყოფნა. მზადების გრაფიკი ფეხბურთის ფედერაციასთან შევათანხმეთ. ჩვენი თანამშრომლობა ჰარმონიულია და ეს ჰარმონია არ უნდა დაირღვეს, რათა ალმა-დალმა არ ვიაროთ.

...სამოლდოვო განაცხადში 18 ფეხბურთელი მეყოლება. შეიძლება, უმნიშვნელო ცვლილებებიც მოხდეს, მაგრამ ორ კვირაში ან თუნდაც თურქეთთან მატჩამდე დიდი ძვრები არ უნდა იყოს.

...შოთა არველაძესთან კონტაქტი გვაქვს. მან გვითხრა, რომ სანაკრებო ფორმა ჯერაც არ აღუდგენია და ამ ეტაპზე გამოძახება მიზანშეუწონლად მიიჩნია. მას ნაკრებში თამაშის სურვილი და მოტივაცია არ დაუკარგავს. არველაძის იგნორირებას არც ჩვენ ვაპირებთ.

...ნაკრებში დებიუტი ექნებათ გოგიტა გოგუას და ლაშა ჯაკობიას. გოგუამ ისრაელის ახალგაზრდულ ნაკრებთან მატჩში კარგი შთაბეჭდილება დატოვა. საერთოდ, ახალგაზრდული ნაკრების თამაშზე განსაკუთრებულად მინდა ვთქვა — ეს გუნდი კარგ ფეხბურთს თამაშობს და ამ ნაკრებიდან ეროვნულის კარი არავისთვის იქნება დაკეტილი. გოგუამ ნახევარდაცვაში ის თვისებები გამოავლინა, რაც ნაკრებს აკლდა. ვიცოდი, რომ ჯაკობია ბელგიაში და საბერძნეთში თამაშობდა, ახლა უკრაინაშიც დაიწყო გოლების გატანა და მისი საქმეში ნახვა მაინტერესებს. „მეტალისტის“ მთავარ მწვრთნელს გენადი ლიტოვჩენკოსაც ველაპარაკე. მითხრა, რომ ჯაკობიას შეიძლება, ვენდოთ. თანაც, ტრავმების გამო ისედაც ორი ფორვარდი დაგვაკლდა — მიხეილ აშვეთია და არველაძე.

...მართალია, ნაკრებში გამოძახებული ზოგიერთი ლეგიონერი თავისი გუნდის ძირითადში ვერ ხვდება, მაგრამ საქართველოში მოთამაშე ფეხბურთელი ძირითადში უნდა იყოს, ვინაიდან ზოგიერთ ფეხბურთელს ძლიერ გუნდში ვარჯიშითაც შეუძლია ნაკრებისთვის სარგებლობის მოტანა. გიორგი ლომაიამ რაც ნაკრებში ითამაშა, უკმაყოფილების მიზეზი არ მქონია. რატი ალექსიძის უთამაშებლობის მიზეზიც ალბათ ყველასთვის ცნობილია. ყოველ შემთხვევაში, ეს ფეხბურთელები ჩემი მოწვეულები არიან და პასუხსაც მე ვაგებ. გაითვალისწინეთ ისიც, რომ საბერძნეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონი იმ ფეხბურთელებით გახდა, რომლებიც ევროპულ კლუბებში ძირითადში ვერ ხვდებოდნენ.

...გიორგი ნემსაძე ჯერ ფორმაში არ არის და „დინამოშიც“ მხოლოდ ერთი მატჩი ითამაშა. მისი ჩამოწერა არც მიფიქრია.

...სამწუხაროდ, გოგა გახოკიძე ჩემგან არაა მოკვეთილი, ის უეფას სასჯელის გამო დაგვაკლდება. ჩვენ სასჯელის შემსუბუქებაზე უეფაში წერილიც გავგზავნეთ, მაგრამ უარი მივიღეთ. მის თამაშს თვალყურს ვადევნებ.

...ვიცი, რომ ირაკლი ვაშაკიძე ძლიერ ბერძნულ ლიგაში ითამაშებს. მის თამაშს „ლოკომოტივიდან“ ვიცნობ და დაკვირვებას გავაგრძელებ.

...ჯაბა კანკავა ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია, ისევე, როგორც 21 წლამდელთა ნაკრების სხვა მოთამაშენი. იგი ბატესთან ვნახე, საინტერესო ბიჭია. იმედი მაქვს, წინსვლა თავში არ აუვარდება. რადაც სიმაღლის მიღწევა იოლია, ძნელი მიღწეულის შენარჩუნებაა. მასაც და სხვა ნიჭიერ ახალგაზრდებსაც ვურჩევ, თავმდაბალნი იყვნენ და ბევრი იმუშაონ. საქართველოში ერთი ცუდი ტენდენცია მენიშნა: როგორც კი ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოჩნდება, უცხოეთის კლუბებში დაუწყებენ აქეთ-იქით ტარებას და ეს ძალიან ცუდია. კანკავას ჩამშლელის, მებრძოლის კარგი თვისებები აქვს და ეს უნდა შეინარჩუნოს. ასეთი ფეხბურთელი ჩვენს ნაკრებს სჭირდება.

...ნაკრების კაპიტანი კახა კალაძეა და მის შეცვლას არ ვაპირებთ.

...საბერძნეთის და დანიის ნაკრებები ევროპის ჩემპიონატზე ვნახე. ბერძნები ევროპის ჩემპიონები გახდნენ და ეს ძალიან კარგია. ევროპის ჩემპიონებთან თამაში ჩემი ფეხბურთელებისთვის დამატებითი სტიმულიც იქნება. ბერძნებს კი, იმ შემადგენლობით, ჩემპიონობა რომ მოიპოვეს, ბრავო უნდა ვუთხრათ. პირადად მე დანიის ნაკრები უფრო მომეწონა. ეს გუნდი ყოველთვის ახერხებს თავისი დონის შენარჩუნებას.

...ქართველებს შეტევა უფრო გიყვართ, მეც შემტევებით, გნებავთ, ერთ ავტობუსს ავავსებ. ვგულისხმობ იმ ფორვარდებს და იმ ნახევარმცველებს, რომლებსაც შეტევა უფრო ეხერხებათ. ახლა ძალიან მჭირდება დაცვის ალღოს მქონე მოთამაშეები. აქაც ასარჩევად რომ იყოს საქმე, კარგი იქნებოდა. განსაკუთრებით განაპირა მცველები და საყრდენები გვაკლია. ჭიჭვეიშვილი, სალუქვაძე, სილაგაძე და ქემოკლიძე ჩემი თვალთახედვის არეში არიან. სილაგაძის გამოძახება ახლაც მინდოდა, მაგრამ...

..ნაკრები 15 აგვისტოს, 18 საათზე სასტუმრო „ბატესტაში“ შეიკრიბება. სად ვივარჯიშებთ, ამას საიდუმლოდ დავტოვებ. 17 აგვისტოს სადილის შემდეგ ტირასპოლისკენ ავიღებთ გეზს.

**დავით ერაძე**

### საქართველოს სამოლდოვო ნაკრები

***მეკარეები:*** *აკაკი დევაძე (თბილისი), გიორგი ლომაია (სპარტაკი, მოსკოვი, რუსეთი);*

***მცველები:*** *ოთარ ხიზანეიშვილი (დინამო, მოსკოვი, რუსეთი), ზურაბ ხიზანიშვილი (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), გივი კვარაცხელია (თბილისი), კახა კალაძე (მილანი, იტალია), კახა მჟავანაძე (ანჟი, რუსეთი), ალექსანდრე ამისულაშვილი (დინამო, უკრაინა);*

***ნახევარმცველები:*** *დავით კვირკველია (დინამო), მალხაზ ასათიანი (ლოკომოტივი, მოსკოვი, რუსეთი), გოჩა ჯამარაული (მეტალურგი, დონეცკი, უკრაინა), ლევან ცქიტიშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), ლევან კობიაშვილი (შალკე, გერმანია), ლადო ბურდული (დინამო), დავით მუჯირი (შტურმი, ავსტრია), გოგიტა გოგუა (თბილისი);*

***თავდამსხმელები:*** *ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), გიორგი დემეტრაძე (მეტალურგი, დონეცკი, უკრაინა), რატი ალექსიძე (როსტოვი, რუსეთი), ლაშა ჯაკობია (მეტალისტი, უკრაინა)*

# თქვი ბრძოლით

## ღვთისა და საქართველოსთვის

*ალენ ჟირესმა საქართველოს ნაკრებში ორ დებიუტანტს, ლაშა ჯაკობიას და გოგიტა გოგუას უხმო. დიდი ხანია, ჯაკობია იმედისმომცემ ფორვარდად ითვლება, უცხოეთში თამაშის გამოცდილებაც აქვს და ჟირესის ყურადღებაც ლოგიკურია. მოულოდნელი თბილისელი გოგუას გამოძახება იყო.*

*გუშინ გოგიტას სანაკრებო პერსპექტივებზე სასაუბროდ შევეხმიანეთ...*



— ნაკრებში გამოძახებას ნამდვილად არ ველოდი. ეს ძალიან მოულოდნელი იყო ჩემთვის, გამიხარდა და ცოტა საგონებელშიც ჩავვარდი, ასე უცებ დიდ ტრამპლინზე შევდექი.

— ჟირესმა პრესკონფერენციაზე თქვა, გოგუას ის თვისებები აქვს, რაც ნაკრებში გვაკლიაო...

— მე უფრო ჩამშლელი ვარ და არც ბრძოლას ვერიდები. თამაშისას ძალიან მობილიზებული და მონდომებული ვხდები. „თბილისში“ შემქმნელები საკმაოდ არიან და მეც მათვის საქმის შემსუბუქება მევალება.

— შენს ამპლუაში გამორჩეული ფეხბურთელიც გეყოლება...

— ევროპაში ეს ჯენარო გატუზოა. აი, ვინ არის მართლა მებრძოლი. საქართველოში ჯაბა კანკავას თამაში მომწონს. მართალია, ჩვენ ერთად არასოდეს გვითამაშია, მაგრამ მჯერა, რომ ერთად ბევრის გაკეთებას შევძლებთ.

— ჟირესის სიტყვებით, ეროვნული ნაკრების კარი ისრაელის ახალგაზრდულ ნაკრებთან თამაშმა გაგიღო.

— იმ თამაშში ბოლომდე დავიხარჯე, რაც შემეძლო, ის ვაკეთე.

— ნაკრებში გამოძახებამ საგონებელში ჩამაგდოო, თქვი. ეს თამაშში ხელს ხომ არ შეგიშლის?

— არა, ნერვიულობა მარტო თამაშის დაწყებამდე ვიცი. მოედანზე კი სხვანაირი ვხდები, არანაირი ნერვიულობა, მხოლოდ მონდომება. ნაკრებში კალაძის, კობიაშვილის, ცქიტიშვილისა და სხვების გვერდით თამაშზე ვოცნებობდი, ამიხდა და შანსის ხელიდან გაშვებას თავს ვერასოდეს ვაპატიებ.

— თუ ოცნებობდი, ესე იგი, გჯეროდა, რომ ნაკრებში ითამაშებდი...

— რწმენა უნდა გქონდეს და ყველაფერს ამ გრძნობით უნდა აკეთებდე. ღვთისა და საკუთარი თავის უნდა ირწმუნო. მონდომებული კი ყოველთვის ვიყავი.

— როგორ ხედავ შენს თავს ეროვნულ ნაკრებში?

— ძნელი სათქმელია. მე, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ვხედავ ჩემში და შემდეგ ჩემ თავს, საქართველოს უკეთ წარმოსაჩენად ყველაფერს გავაკეთებ.

— ფეხბურთში მხოლოდ „თბილისიდან“ გაგიცნეს, საიდან მოდის გოგიტა გოგუა?

— საფეხბურთო ცხოვრებაში ბევრი სირთულეები მქონდა. იყო პერიოდი, როდესაც უფეხბურთოდ თითქმის ორი წელიც დავრჩი. შემდეგ ჯემალ ჩიმაკაძემ ჯერ „დინამოში“ მიმიყვანა, ბოლოს კი „ოლიმპში“, სადაც უკვე „თბილისმაც“ შემამჩნია. დღეს რომ ფეხბურთს ვთამაშობ, სწორედ ჩიმაკაძის დამსახურებაა, შემდეგ გიორგი დევდარიანის და მთელი „თბილისის“.

**დავით ერაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პეტრიაშვილმა მჭედლობა დაიწყო

## დინამოს სარკე მოედანი



## ტყებუჩავას სამოლდოვო 19

გუშინდელ პრესკონფერენციაზე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა *გოჩა ტყებუჩავამ* თავისი 19 რჩეული დაასახელა და ესაც თქვა:

...ამ ნაკრების ძალიან მეიმედება. ალბათ ნახეთ ისრაელთან ბიჭების თამაში და დარწმუნდით, რომ საკმაოდ დიდი პოტენციალი აქვთ. გოგუა ჩვენთვის დიდი ძალაა, მაგრამ პირველ ნაკრებს ჩვენი ფეხბურთელი რომ დასჭირდება, ყოველთვის სიამოვნებით დავუთმობთ.

...სანდრო იაშვილს საზარდული აწუხებს და ის თამაშს ვერ შეძლებდა, ამიტომაც არ გამოვიძახეთ.

...სანდრო გურული ნახევარმცველია, თუმცა თავდასხმაში თამაშიც შეუძლია და ვნახავთ, სად უფრო ეფექტური იქნება.

...მოლდოველებს ჩვენც 18 აგვისტოს ვეთამაშებით, ოღონდ რამდენიმე საათით ადრე. ამის შემდეგ სათურქეთოდ ერთი სპარინგმატჩის გამართვაც შეიძლება მოვახერხოთ ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე რომელიმე კლუბთან.

### საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები

***მეკარეები:*** *ირაკლი თოთლაძე (დინამო), ირაკლი ბალაძე (ბათუმი), ბექა შეყრილაძე (თბილისი);*

***მცველები:*** *გიორგი ციმაკურიძე (სტალ, უკრაინა), დავით იმედაშვილი (ვიტ ჯორჯია), მამუკა ლომიძე (როსტოვი, რუსეთი), პაპლე დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია), შოთა კაშია (დინამო), ზაალ ელიავა (თბილისი);*

***ნახევარმცველები:*** *მურთაზ ბურნაძე (შერიფი, მოლდოვა), ოთარ მარცვალაძე (ვიტ ჯორჯია), ჯაბა კანკავა (დინამო), გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე (თბილისი), კახა ალადაშვილი (დინამო), გოჩა ხოჯავა (თბილისი), შოთა გრიგალაშვილი (დინამო);*

***თავდამსხმელები:*** *სანდრო გურული (ლიონი, საფრანგეთი), ირაკლი მოდებაძე (მეტალურგი, ზაპოროჟიე, უკრაინა), ირაკლი ებანოიძე (ვიტ ჯორჯია)*

*ბორისოვში, ბატე — „დინამოს“ მატჩის წინ თბილისელთა მმართველმა დირექტორმა დავით პეტრიაშვილმა მუჭი გახსნა და ხელის გულზე წინდღით გამოჭედილი მინიატიურული ნალი აათამაშა. ეს გუშინ საკუთარი ხელით გამოვჭედე — როგორც ამ ნალს ვერ გადატეხავ, ისე ვერც ბატე გატეხავს „დინამოსო“ — გვითხრა დავით პეტრიაშვილმა და მატჩის საცქერლად მოემზადა...*

*სწორედ ბორისოვში მატჩის მერე „დინამო“ დატოვა და რუსულ „კრილია სოვეტოვს“ მიაშურა ერთ-ერთმა ყველაზე ნიჭიერმა ქართველმა თავდამსხმელმა სანდრო იაშვილმა, რასაც დიდი ხმაური თუ არა, მითქმა-მოთქმა მოჰყვა, რატომ გაუშვა „დინამომ“ იაშვილიო. ესეც რომ არა, ზოგადად, „დინამოს“ ბოლოდროინდელ სატრანსფერო ამბებზე ქართულ საფეხბურთო სამყაროში ხშირად ლაპარაკობენ.*



და რას ამბობს თავად დავით პეტრიაშვილი? აგერ, ამ ინტერვიუში მისი პასუხები წაიკითხეთ... თუმც სატრანსფერო თუ სხვა კითხვებამდე, ნალი... სად არის ახლა ბორისოვში გამოჭედილი ნალი?

— აგერ, ამ კედელზე ჰკიდია, მან თავისი დანიშნულება შეასრულა და ახლა ავი თვალისგან გვიცავს — გვითხრა „დინამოს“ მმართველმა დირექტორმა, რომელსაც გუშინ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ვესტუმრეთ.

— **ეს ნალი „სლავიასთვის“ აღარ გამოდგება?**

— „სლავიასთან“ მატჩის წინ ახალ ნალს გამოვჭედავ. ცალნალიანი ცხენი გინახავთ? ამისთანა კიდევ სამი გვჭირდება.

— **ესე იგი, „დინამოს“ უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპი დაუძლევია და ჯგუფში მოხვედრილა...**

— ვნახოთ, იმედი გვაქვს და სამისოდ ცდას არ დავაკლებთ.

— **კეთილი. ეს ნალი ერთგვარად „დინამოს“ მომავალთანაც ყოფილა დაკავშირებული, მაგრამ ახლა აწმყოზე ვთქვათ. რა ხდება კლუბში?**

— გეგმაზომიერი, მიზანმიმართული მუშაობა მიმდინარეობს. უკვე ჩანს იმის კონტურები, რომ კლუბი სწორი გზით მიდის და ვითარდება. ამ დღეებში „დინამო-2“ ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად აჭარაში გაემგზავრება, შეკრებას გაივლიან „დინამოს“ აკადემიის ნორჩი ფეხბურთელებიც. დავაწესეთ შიდასაკლუბო ასაკობრივი ცენზი, რომლის შესაბამისად ჩვენს აკადემიაში, აკადემიიდან კი „დინამო-2“-ში გარკვეულ ასაკს გადაცილებული ბიჭი ვერ მოხვდება. უდიდეს ყურადღებას ვუთმობთ სელექციას, გამოცხადებული გვქონდა ღია კარის დღე და რამდენიმე ნიჭიერი ფეხბურთელი აკადემიაში ჩავრიცხეთ. აკადემიიდან კი „დინამო-2“-მა შევსება უკვე მიიღო. ეს უკვე პროგრესია, ფეხბურთელები დაწინაურდნენ, ფარმ-კლუბიდანაც ხომ ათამდე ფეხბურთელი უკვე „დინამოში“ თამაშობს. და რაც მთავარია, კლუბში თბილი, საქმიანი ატმოსფეროა შექმნილი, ყველა თავის საქმეს აკეთებს. ყველა იზიარებს იმ მიმართულების სისწორეს, რითაც „დინამო“ მიდის.

— **შიდასაკლუბო სტრუქტურა უკვე ააწყვეთ?**

— სტრუქტურა კარგა ხნის აწყობილია. აკადემიის რამდენიმე ასაკობრივი ჯგუფი, „დინამო-2“, „დინამო“... თუმც ისიცაა, რომ სტრუქტურას მუდმივად სჭირდება დახვეწა, ხოლო რა როგორ იქნება შესაცვლელი, ამას პრაქტიკა გვიჩვენებს. „დინამო“ ქართული ფეხბურთის ფლაგმანია — სრულიად ვიზიარებ ამ სიტყვების სულისკვეთებას და როცა „დინამოში“ საქმეს ვაკეთებთ, ასმაგ პასუხისმგებლობას ვგრძნობთ.

— **ბოლოდროინდელ ტრანსფერებს ქომაგის არაერთგვაროვანი რეაქცია რომ მოჰყვა, ამას თუ გრძნობთ?**

— რას გულისხმობთ?

— **ამბობენ, დავით პეტრიაშვილმა „დინამო“ დაშალაო...**

— ვინ ამბობს, რატომ ამბობს?! რომელი „დინამო“ დავშალე?! პეტრიაშვილს გუნდიდან არავინ გაუშვია და ერთპიროვნულად ამის გაკეთებას არც მომავალში აპირებს. „დინამოს“ ჰყავს მწვრთნელი და მან თავისი საქმე იცის. მან იცის, გუნდში ვინ სჭირდება, ვინ — არა, ვინ აკმაყოფილებს მის მოთხოვნებს, ვინ — ვერა. ჩემი საქმე უკვე ამის მერე იწყება — ფეხბურთელს, რომლის ადგილსაც მწვრთნელი გუნდში ვერ ხედავს, ახალი კლუბი უნდა გამოვუძებნო, ისეთი, რომელიც ჩვენსა და ფეხბურთელის პირობებს დააკმაყოფილებს. მწვრთნელის გადასაწყვეტია ასევე, გუნდში რომელი ფეხბურთელი დაიმატოს, ვის შეუძლია გუნდის გაძლიერება. ამ მოსამზადებელ ეტაპზე გია გეგუჩაძემ რომელი ფეხბურთელების დამატებაც გვთხოვა, მისი ყველა სურვილი დავაკმაყოფილეთ. ახლა უკვე მწვრთნელმა იცის, შედეგზე ისაა პასუხისმგებელი.

— **უფრო კონკრეტულად ვთქვათ: სანდრო იაშვილი, მოქმედი კონტრაქტის მიუხედავად, გუნდიდან რატომ გაუშვით?**

— მწვრთნელს გუნდის განვითარების საკუთარი ხედვა, კონცეფცია აქვს და მის მონახაზში იაშვილის ადგილი არ იყო. სანდროს ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის ძალიან მცირე შანსი ჰქონდა და ჩვენს ფარმ-კლუბში თამაშს, ჩვენთვისაც და თავად ფეხბურთელისთვისაც, სჯობდა, კარიერა სხვაგან გაეგრძელებინა. არავინ უარჰყოფს, რომ სანდრო იაშვილი ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია, მაგრამ მწვრთნელის ტაქტიკურ მონახაზში მისი ადგილი არ ჩანდა.

— **ასევე არ ჩანდა გოგობერიშვილის ადგილი?**

— დიახ.

— **ამისულაშვილისაც?**

— არა, ამისულაშვილის შემთხვევა სხვაა. ეს იყო ჩვეულებრივი ტრანსფერი. კიევის „დინამოსა“ და ჩვენს შორის რვა თვე მიმდინარეობდა მოლაპარაკება და როცა ურთიერთხელსაყრელ პირობებზე შევთანხმდით, ფეხბურთელი გავუშვით.

— **დარასელიასა და ალექსიძეს, მიუხედავად იმისა, რომ „დინამოსთან“ კონტრაქტი დამთავრებული ჰქონდათ, თქვეს, გუნდში დარჩენა სურდათო.**

— არა, პირიქით, მათ წასვლა სურდათ. როცა ამ ფეხბურთელებს კონტრაქტები დაუმთავრდათ, მოსალაპარაკებლად დავსხედით, მაგრამ ჩვენი შეთავაზებული პირობები მათთვის მიუღებელი გამოდგა. ისინი რუსეთში წავიდნენ. ფიქრობენ, კარიერა გაიუმჯობესეს, ღმერთმა ხელი მოუმართოთ. ჩვენგან კი მადლობის მეტს არაფერს იმსახურებენ.

— **ამბობენ, ახლა ახალაიას, ბურდულის, შაშიაშვილისა და კვირკველიას წასვლის ჯერიაო. ასეა?**

— არც ვმალავ, რომ კვირკველიას თაობაზე სერიოზული წინადადებები მივიღეთ მოსკოვის „სპარტაკისგან“ და დონეცკის „შახტარიდან“, მაგრამ ამ ეტაპზე მისი ტრანსფერისგან თავი შევიკავეთ. რატომ? მწვრთნელს ის სჭირდება და ჯერჯერობით მისი სრულფასოვანი შემცვლელი არ ჰყავს. ზამთარში ბურდულის კიევის „დინამოში“ გადასვლა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ლადოს ტრავმამ შეუშალა ხელი. ახლა კი მისით „მანჩესტერ სიტია“ დაინტერესებული. შაშიაშვილს ხორვატიული „ჰაიდუკი“ და გერმანული კლუბები ეპატიჟებოდნენ, მაგრამ ამ ეტაპზე მისი გაშვებისგანაც თავს ვიკავებთ. ახალაიას თაობაზე კი არაფერი ვიცი, არც მწვრთნელს უთქვამს რამე.

— **ამ ეტაპზეო, თქვით. ესე იგი, გამორიცხულია, კვირკველიამ და შაშიაშვილმა „დინამო“ უახლოეს ერთ თვეში მაინც დატოვონ?**

— დიახ, გამორიცხულია. რა ტრანსფერსაც „დინამო“ გააკეთებს, ყველაფერი მწვრთნელთან შეთანხმებული იქნება. საერთოდ კი, როცა რაიმე წარმატებაზეა ლაპარაკი, იქ მწვრთნელისა და კლუბის ხელმძღვანელობის ურთიერთობაზე ძალიან ბევრი რამაა დამოკიდებული. მწვრთნელი მხოლოდ წმინდა საფეხბურთო საკითხებზე ფიქრობს, ხელმძღვანელობა ცოტა სხვაგანაც იყურება. ჩვენსა და გია გეგუჩაძეს შორის კი სრული ურთიერთგაგებაა.

— **ისიც ითქვა, როცა თქვენგან ფეხბურთელი მიდის ან ვერ მიდის, სანაცვლოდ „დინამო“ დიდ თანხას ითხოვსო.**

— გააჩნია, ბევრი ვისთვის რამდენია. ვისაც ფეხბურთელი ეძვირება, ბუნებრივია, არ გადაიხდის, ვისაც ფასი აკმაყოფილებს, ის ყიდულობს კიდეც.

— **ახლა პერსპექტივაზე. შეგიძლიათ, თქვათ, რომ „დინამო“ ორსამ წელიწადში თუნდაც უეფას თასის გათამაშების ჯგუფში მოხვდება?**

— ჩვენ უფრო შორსაც ვიყურებით: გვსურს, „დინამომ“ საერთაშორისო შედეგი ყოველწლიურად ერთი საფეხურით მაინც გააუმჯობესოს. ალარაფერს ვამბობ საქართველოს ჩემპიონობასა და თასის მოგებაზე. ჩვენ ანგარიშვალდებულები ვართ ჩვენი ქომაგის წინაშე და მათი იმედები არ უნდა გავაცრუოთ.

— **ახლა, ფაქტობრივად, ახალ გუნდს აკეთებთ. ამ უახლოეს ორსამ წელიწადში კიდევ გაყიდით ფეხბურთელებს? თუ გაყიდით, მაშინ სტაბილურ შემადგენლობას ველარ შეინარჩუნებთ და ყოველთვის ახალი გუნდით მიზნის მიღწევა არ გაგიჭირდებათ?**

— სამწუხაროდ, საქართველო ევროპისთვის ფეხბურთელების მიმწოდებელი ქვეყანაა და არა მომხმარებელი. თუმც ჩვენ ხელაღებით ფეხბურთელის გაშვებას არ ვაპირებთ. თუ ვინმეს გავყიდით, იმ შემთხვევაში, როცა გუნდში ამ ფეხბურთელების სრულფასოვანი შემცვლელი იქნება. გუნდის ხერხემალს ყოველთვის შევინარჩუნებთ. საამისოდ კი კონკურენციაა საჭირო. ერთ ადგილზე თამაშის პრეტენზია სამ-ოთხ ფეხბურთელს უნდა ჰქონდეს.

— **მერედა, „დინამოში“ ასეა?**

— როგორც ვხედავ, „დინამოში“ სულ ცოტა ხანში საკმაოდ დიდი კონკურენცია იქნება. სწორედ კონკურენციის ხელშემწყობია „დინამოს“ სტრუქტურაც. მთავარმა გუნდმა ფარმ-კლუბიდან შევსება რეგულარულად უნდა მიიღოს. მერე კი შედეგიც იქნება. ამის სარკე მოედანია.

— **სარკესავით მოედანი „დინამოს“ როდის ექნება?**

— დიღმის საწვრთნელ ბაზაზე მოედნები ნორმალურ მდგომარეობაშია. ერთ მოედანზე კი ცოტა ხანში ევროპული დონის გაზონი იქნება.

— **ეროვნული სტადიონის დაპატრონებაზე აღარ ფიქრობთ?**

— ამ ეტაპზე არანაირი დაინტერესება არ გვაქვს. თუმც, როგორც ყოველთვის, „ერვნულის“ ხელმძღვანელობასა და ჩვენს შორის საკმაოდ კარგი ურთიერთობაა.

**კობა ინასარიძე**

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი 16 ლიგა 2 ტური





ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი. 6 აგვისტო. 19 საათი. ეროვნული

## თბილისი — კოლხეთი

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ლ. ფანიშვილი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი

# დღეს კოლხეთი ცოტა ლეგიაა

## გიორგი დევდარიანი: ჩვენ ომს ვაპირებთ

**ვარშავის** „ლეგიასთან" მოახლოებულ საუეფასთასო მატჩამდე ექვსი დღეა დარჩენილი, საფეხბურთო კლუბი „თბილისიც" გულმოდგინედ ემზადება პოლონელებთან ჯახისთვის.

მაგრამ „ლეგიამდე" გიორგი დევდარიანის შეგირდებს ეროვნული ჩემპიონატის მატჩი აქვთ გასამართი, დღეს „თბილისი" ფოთის „კოლხეთს" ეროვნულ სტადიონზე უმასპინძლებს და, მთავარი მწვრთნელის თქმით, ეს იქნება გენერალური რეპეტიცია — იმედი მაქვს, ფოთელები კარგ სპარინგობას გაგვიწევენო.

ერთი სიტყვით, დღეს მე-16 ეროვნული ჩემპიონატის მეორე ტურს „თბილისი" — „კოლხეთი" ხსნის: მატჩი „ეროვნულზე" შვიდ საათზე დაიწყება.

ფოთელები გუშინ ჩამოვიდნენ დედაქალაქში და სასტუმრო „მესაზღვრეში" დაბინავდნენ. გუშინვე ორივე გუნდის მწვრთნელებს ერთობლივი პრესკონფერენციაც უნდა მოეწყოთ, მაგრამ კოლხთა თავკაცი დავით მახარაძე არ გამოჩენილა.

„ეროვნულზე" „თბილისის" ვარჯიშის შემდეგ კი გიორგი დევდარიანმა საპრესკონფერენციო დარბაზშიც მიგვიწვია. მწვრთნელმა, რა თქმა უნდა, ძირითადად „ლეგიასთან" მოახლოებულ შეხვედრაზე ილაპარაკა, თუმც მანამდე „თბილისის" ვარჯიშზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა.

მსუბუქი მოთელვა, ძვალ-სახსრის გაშლა, კარში დარტყმები, ტაქტიკა, ხელბურთი, თავბურთი და ბოლოს ორკარა საათნახევარში ჩაეტია. ვარჯიშის დაწყებამდე დევდარიანმა შეგირდები მოედნის კიდესთან შემოიკრიბა და ეროვნულ გუნდში მიწვეულ დევაძეს, კვარაცხელიასა და გოგუას ყველას გასაგონად მიულოცა. აი, ხომ ხედავთ, მოინდომებთ, ითამაშებთ და შრომაც დაგიფასდებათო.

მწვრთნელის ეს სიტყვები დამატებითი სტიმული აღმოჩნდა ფეხბურთელებისთვის, რომლებიც თავ და ფეხდაუზოგავად ვარჯიშობდნენ. სხვების გარჯას, ცხადია, არ ვაკნინებ, მაგრამ ზემოხსენებული სამეული სხვებისგან მართლაც გამოირჩეოდა.

ახლა კი, რა გვითხრა გიორგი დევდარიანმა პრესკონფერენციაზე:

...რა თქმა უნდა, წარმატებული სტარტი ბევრს ნიშნავს. „შამქირთან" და „ზესტაფონთან" მოგებებმა ძალა შეგვმატა და დაგვარწმუნა, რომ სწორ გზაზე ვდგავართ. ცხადია, ეს თვითკმაყოფილების საბაბს არანაირად არ გვაძლევს. წინ უამრავი სამუშაოა.

...„კოლხეთთან" მატჩი „ლეგიამდე" გენერალური რეპეტიცია იქნება. საბედნიეროდ, ტრავმები არ გვაწუხებს, ყველა ჯანზეა და საბრძოლველად შემართული.

...„შამქირთან" და „ზესტაფონთან" მოგებები ზღვაში წვეთია. ჩვენი რეალური ძალა სწორედ „ლეგიასთან" გამოჩნდება: ბიჭების განწყობის და მოტივაციის იმედი მაქვს. დარწმუნებული ვარ, ჩვენი კარგი თამაშის წყალობით ქართველ გულშემატკივარს სტადიონისკენ შემოვაბრუნებთ, მაგრამ ამას გარკვეული დრო სჭირდება, ჩვენ ნელ-ნელა, თამაშ-თამაშ უნდა გავიზარდოთ.

...მამია ჯიქიას პირადად არ ვიცნობ, მაგრამ მის აზრს და კომენტარებს, ცხადია, პრესის საშუალებით ვეცნობი და ვითვალისწინებ. ფაქტია, „ლეგიას" ჯიქია ჩვენზე კარგად იცნობს.

...„ლეგიას" თამაშების ვიდეოკასეტებს ჯერ კიდევ ველით. შემპირდნენ, ხვალ უკვე გექნებაო. ცხადია, პოლონელებზე ზედაპირული წარმოდგენა მაქვს, მაგრამ დაწვრილებითზე რა გითხრათ. ჩამოვა ვიდეომასალა, ჩავუსხდებით, მეტოქეს საფუძვლიანად გავარჩევთ და შევისწავლით.

...ერთი ნაღდად ვიცი, „ლეგიას" მოედანზე ნამდვილ ომს გავუმართავთ. მათ უბრძოლველად არაფერს დავუთმობთ. ბიჭების მოტივაციაც ესაა, „თბილისის" და მთლიანად ქართული ფეხბურთის პრესტიჟი.

**გიორგი ვაშაკიძე**

2000 წლის თებერვალია. ლონდონის „ჩელსი ვილიჯის" სასტუმროს ერთ-ერთ ნომერში ოთხნი ვსხედვართ — რატი ალექსიძე, მამამისი თემური, რატის აგენტი და მე. მეტნაკლებად ყველანი ვნერვიულობთ: სახუმარო ამბავი არაა — ნახევარ საათში „ჩელსიმ" კონტრაქტი უნდა გაუფორმოს რატის. საქმე თითქმის გადაწყვეტილია, მხოლოდ მცირე დეტალებიღა დარჩა დასაზუსტებელი.

წასვლის დროა.

კარგი, დავიძრით... — ამბობს თემური და საბუთებს ალაგებს კეისში: ეს... ეს... ესეც. ყველაფერი ადგილზეა — ეს მავიწყდებოდა... და მაგიდაზე მიგდებულ დასაკეც დანას დასწვდა. მე მივხვდი, რატიც, აგენტს კი ფერი ეცვალა: რა ჩადეთ ჩანთაში?

— საბუთები.

— მე დანაც დავინახე. თქვენ დანა მიგაქვთ?

— ხო კარგი — გაიცინა თემურმა — დღეს ჩემი შვილის ამბავი წყდება და თუ ის თქვენი კენ ბეიტსი („ჩელსის" მაშინდელი პატრონი) გაახურებს, ქალაქურად გავუსწორდები.

— არა, მე არ წამოვალ, — ნირწამხდარი აგენტი სკამზე დაეშვა. ცხადია, დანა „ჩელსი ვილიჯის" ნომერში დარჩა, ნახევარ საათში კი რატი უკვე „ჩელსის" ფეხბურთელი იყო. სიმშვიდემ და სიხარულმა დაისადგურა — აგენტიც კმაყოფილი იყო: განსაკუთრებით თემურის საოხუნჯო ფანდზე იხალისა, რაიან გიგზმაც ეგეთები იცისო. დღემდე ყველა ჩემი ინგლისელი მეგობარი ამბობს, გიგზი რომ უელსელი დედის გვარზე არ გადასულიყო, ინგლისის ნაკრებს ვერავინ აჯობებდაო. თემურის მეგობრები კი ამბობენ, ფეხბურთს ადრიანად რომ არ გამოთხოვებოდა, დიდ თამაშს შეძლებდაო.

თემურ ალექსიძემ თამაში „ავაზაში" დაიწყო, მიშა მესხთან. მერე „ნორჩ დინამოელში", იქიდან კი ნოდარ ახალკაცმა წაიყვანა „დინამოს" სათადარიგო გუნდში. იმ დროს საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანიც კი იყო, შუა მოედანი ეჭირა. მისი მთავარი საფეხბურთო ტიტულიც ამ საბჭოთა ნაკრებთან ერთად მოიგო — საერთაშორისო ტურნირი საფრანგეთში, თავისი თაობის სხვა ამომავალ ვარსკვლავებთან ბესონოვთან და დუმანსკისთან ერთად თითქოს დიდი კარიერის საზღვარზე იდგა, მაგრამ... შვილის გარდაცვალება, კონფლიქტი ერთ-ერთ დინამოელთან, ტრავმა და... თემურის ფეხბურთიც დასრულდა.

რაც დააკლდა, რაც ვერ შეძლო, რასაც ყოველთვის განიცდიდა, რატიმ აუსრულა.

ამ სურათზე ბაბუას ჩახუტებული რატის ვაჟი, პატარა თემური ეგებ უფრო შორსაც წავიდეს.

... ლისაბონიდან თბილისში გვიან ღამით დაბრუნებულმა გვარიანად გამოვიძინე. დღის პირველი საათი იყო, თვალი რომ გავახილე და საწოლთან დედაჩემის წერილი დამხვდა, თემურ ალექსიძე გარდაიცვალა, დაკრძალვა დღესაა, ორ საათზეო.

ცხადია, გაზეთებმა რატის თანაუგრძნეს მამის გარდაცვალების გამო. ნეკროლოგები არ ყოფილა. კარგიცაა, რომ არ ყოფილა: იქ ყველა გარდაცვლილს ერთ თარგზე მოჭრიან ხოლმე და ანგელოზებად სახავენ. არც თემური იყო ანგელოზი და არც ესაა ნეკროლოგი. უბრალოდ, ძველ ფეხბურთელზე, ჩემს მეგობარზე მინდოდა მეთქვა რაღაც — დღეს მისი დაბადების დღეა, ხვალ კი ორმოცი.

**ზურაბ მეძველია**



თბილისი. 7 აგვისტო. 17 საათი. ლოკომოტივი

## ლოკომოტივი — ბათუმი

მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); მ. ელიკაშვილი, მ. ურუშაძე (ორივე თბილისი); ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი) სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

ბოლნისი. 7 აგვისტო. 17 საათი. თემურ სტეფანია

## სიონი — დილა

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი (სამივე ქუთაისი); ა. ორდინიძე (ონი); სფფ-ის ინსპექტორი: ვ. სილაგავა; დირექტორი: დ. კვინიკაძე

ქუთაისი. 7 აგვისტო. 17 საათი. ტორპედო

## ტორპედო — ზესტაფონი

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); ნ. ბუიშვილი (ჭიათურა); სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა

მცხეთა. 8 აგვისტო. 17 საათი. არმაზი

## ვიტ ჯორჯია — დინამო

მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. შალამბერიძე (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე; დირექტორი: პ. ბურჯალიანი

პირველის მსგავსად სამ დღეზე გაჭიმულ მეორე ტურში ცენტრალური მატჩი ზეგ მცხეთაში გაიმართება. პოლონურ „ვისლასთან" შერცხვენილი „ვიტ ჯორჯია" ძველ სარბიელს დაუბრუნდა და ახლა იქ შეეცდება ჩეხეთის გზაზე დამდგარ „დინამოს" ძლევას. ამათი ქიშპობის ამბავი ეროვნული ჩემპიონატისთვის ხომ განსაკუთრებულია — „ვიტ ჯორჯია" „დინამოსთვის" კარგა ხანია კერკეტი კაკალია. თუნდაც წინა ჩემპიონატის მეორე ეტაპის მეორე წრის მატჩი გაიხსენეთ: მაშინ „ეროვნულზე" ვეტერინარებმა „დინამო" 3:1 დასცეს. ახლა კი, „ვისლასგან" გამწარებული მასპინძლები რას მოიმოქმედებენ, საკითხავია და ჯაბანი არც „დინამო" უნდა იყოს. მოკლედ, ღირს მცხეთაში წასვლა. საინტერესო მატჩი უნდა იყოს ქუთაისშიც, სადაც „ტორპედო" წინა ტურში დამარცხებულ „ზესტაფონს" უმასპინძლებს. თბილისში „ლოკომოტივი" გორში ნაყიჩაღევ „ბათუმს" მიიღებს. ბოლნისში კი ჩვენი ვარაუდით, ჩემპიონატის ორი აუტსაიდერი, „სიონი" და „დილა" გაარკვევენ ურთიერთობას.

ბავშვთა საფეხბურთო გუნდ „მაისის" აღზრდილები ლადო ბურდული, ლაშა ჯაკობია, გიორგი დეკანოსიძე, რეზო ქემოკლიძე, ზურაბ ბათიაშვილი, გიორგი ლოლაძე, ირაკლი სეფერთელაძე, მიხეილ ხუციშვილი მწუხარებით იუწყებიან, რომ
გარდაიცვალა მათი პირველი მწვრთნელი
**კოტე ჯალიაშვილი**
და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს



# მეც წავედი!

## ტურამმა ლიზარაზუს ფეხი მოაჭრა

**ბიქსენტ ლიზარაზუმ** სანაკრებო კარიერა დაასრულა. ამის შესახებ მან ფრანგულ „ეკიპთან“ ინტერვიუში განაცხადა: „ნაკრებზე უარის თქმა ძალიან ძნელია, მაგრამ სავსებით ვეთანხმები ლილიან ტურამს, რომელმაც თქვა, გზა ახალ თაობას უნდა დავუთმოთო. „სამფეროვნებს“ 12 წელი ვემსახურე. ეს ხომ ცხოვრების ერთი ნაწილია. ტურამის წასვლის ამბავმა ჩემზე ისე იმოქმედა, თითქოს ცალი ფეხი მომაჭრეს. სწორედ მისმა ნაბიჯმა მიბიძგა ამ გადაწყვეტილებისკენ, თუმც თავს არანკლებ ვგრძნობ, ვიდრე ზიდანი ან ბარტეზი. სანაკრებო კარიერის დასრულებას არ ვნანობ. განვლილი წლებით ვამაყობ და კმაყოფილი ვარ. ფეხბურთი ჩემთვის ჯერ არ დასრულებულა. „მარსელში“ ძალიან კარგად მიმიღეს და კიდევ ორი სეზონი მაღალ დონეზე ვითამაშებ“.

ფრანგი მცველი „სამფეროვანთა“ ახალ მწვრთნელ რაიმონ დომენეკს მარსელში შეხვდა და ესაუბრა. დომენეკის თხოვნის მიუხედავად, ლიზარაზუმ განაჩენი არ შეცვალა.

ბილბაოს „ატლეტიკისა“ და მიუნხენის „ბაიერნის“ ყოფილი ფეხბურთელის სანაკრებო დებიუტი 1992 წლის ნოემბერში ფინეთთან მატჩში შედგა. მას შემდეგ ლიზარაზუმ „სამფეროვანი“ მაისურა 97-ჯერ მოირგო.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ფრანჩესკო ტოტი კლინიკაში ჯილარდინოთი მოწამლეს

ამერიკიდან სამშობლოში სამკურნალოდ დაბრუნებული, მუხლნატკენი ფრანჩესკო ტოტი ოპერაციას გადაურჩა. პროფესორ პიერპაოლო მარიანის თქმით, ფეხბურთელი ორ-სამ კვირაში მოკეთდება და ჩემპიონატის დასაწყისისთვის სათამაშოდ მზად იქნება.

რომის კლინიკიდან გამოსულმა ტოტიმ ჟურნალისტებს უთხრა: „მე კარგად ვარ და „რომას“ სრული ბედნიერებისთვის ახლა მხოლოდ ალბერტო ჯილარდინო აკლია. ჩეზარე პრანდელი აკეთებს გუნდს, რომელშიც ახალგაზრდები სჭარბობენ და შეტევაში სწორედ ჯილარდინოს დარი ფეხბურთელი გვჭირდება“.

„პარმას“ ყმაწვილ ფორვარდსაც თვალი დედაქალაქისკენ უჭირავს: „თავს უკვე „რომას“ ნაწილად მივიჩნევ და ვიმედოვნებ, რომ ოლიმპიადის დაწყებამდე ჩემი ტრანსფერი მოგვარდება“.

**ვაჟა ხუციშვილი**



ფრანკ როსტი:

## შალკე აღარ ხუმრობს

ბუნდესლიგას დღეს „მუსიკოსები“ და „ხუმარები“ გახსნიან. ბრემენელები წინა სეზონში კარგად „უკრავდნენ“ და სეზონის ბოლოს ხელები ბუნდესსასალათესაც უტყაპუნეს, მაგრამ წლეულს გელზენკირხენელებს პირველი „მევიოლინე“ აილტონი მიჰყიდეს, რომელსაც აწ უკვე ყოფილი გუნდის კარისთვის მოუწევს ბურთების დამიზნება. „შალკეს“ მეკარე ფრანკ როსტს „ვერდერში“ ექვსი წელი გაუტარებია, ახლა კი მესამე სეზონია, გელზენკირხენში თამაშობს. „კიკერთან“ ინტერვიუში როსტი ახალ თანაგუნდელებზე და კლუბის სამომავლო მიზნებზე საუბრობს.



— ინტერტოტოზე მეტოქეები გვარიანად დააწიოკეთ, ბუნდესლიგაშიც შეძლებთ იგივეს?

— სეზონის კარგად დაწყება სასიამოვნოა, მაგრამ თავში არ უნდა აგვივარდეს. ნუ დაგავიწყდებათ, რომ „ვერდერი“ სკოპიეს „ვარდარისა“ და „ესბიერგის“ დონის გუნდი არაა.

— შარშან ბრემენში 1:4 წააგეთ, ახლა კი „შალკეს“ ეტყობა, რომ გაცილებით ძლიერია და ალბათ აღარ შერცხვებით.

— ამჯერად ნამდვილად უკეთესი გუნდი გვყავს. ოთხი წელია, ბრემენში არ მოგვიგია და როგორმე ნავსი უნდა გავტეხოთ. „შალკეს“ კაიზერსლაუტერნში 27 წელი არ მოეგო, გელზენკირხენში ჩემი გადასვლის შემდეგ კი „კაიზერს“ სტუმრად ვძლიეთ. ბრემენშიც მხოლოდ გამარჯვებისთვის მივდივართ.

— „ვერდერმა“ აილტონი და კრსტაიჩი „შალკეს“ დაუთმო. როგორ ფიქრობთ, კვლავ შეძლებს ჩემპიონობისთვის ბრძოლას?

— ლიგის თასის ფინალში „ბაიერნთან“ მათი თამაში ვნახე. მიუხედავად იმისა, რომ 0:3-ს აგებდნენ, ორი გოლის გატანა შეძლეს და ბოლოს კინაღამ გაათანაბრეს. „ვერდერს“ ისეთი ფეხბურთელები ჰყავს, რომლებსაც ნებისმიერ მომენტში შეუძლიათ, ვითარება სათავისოდ შეცვალონ. ამიტომ საჩემპიონო რბოლიდან ბრემენელებს ვერ ჩამოვწერ.

— შარშანდელი სეზონის დაწყებამდე სულ ცოტა, 40 ქულის მოგროვებას გეგმავდით და ამას მიაღწიეთ კიდეც. ახლა ამბიციები მოგემატათ?

— მე ოპტიმისტი ვარ და თან ვითარებას რეალურად ვაფასებ. რომ მოვინდომოთ, შინ ყველა მატჩის მოგებას შევძლებთ. ძალიან გამიხარდება, „აუფ შალკეზე“ ყველას ისე თუ გავუსწორდებით, როგორც „ესბიერგს“. სასიამოვნოა, როცა საკუთარ სტადიონს საზეიმო ადგილად აქცევ. ცოდნა და გამოცდილება საკმარისი გვაქვს საამისოდ, რომ 40-ზე გაცილებით მეტი ქულა მოვაგროვოთ.

— ბორდონი, ლინკოლნი, აილტონი, კრსტაიჩი — რამდენად გააძლიერეს მათ „შალკე“?

— ამაზე რამდენიმე ტურის შემდეგ ვილაპარაკოთ, თუმც დარწმუნებული ვარ, ორი უილბლო სეზონის კვალად ამჯერად ჯილდოს გარეშე არ დავრჩებით. წარმატების მისაღწევად ყოველდღე ბეჯითად შრომაა საჭირო. რაკი გავძლიერდით, ქომაგებიც ჩვენგან მეტს მოითხოვენ. ფსიქოლოგიურად ეგებ გაგვიჭირდეს, მაგრამ შედეგის გამო ლაღ, შემტევ ფეხბურთზე უარი არ უნდა ვთქვათ.

— აილტონმა და კრსტაიჩმა გუნდში ალბათ საჩემპიონო განწყობა შემოიტანეს. ისინი ხომ კვლავაც პირველობისთვის იბრძოლენე და თქვენ გუნდს თუ შეუძლია, აჰყვეს მათ?

— „ვარსკვლავებში“ ბევრ ფულს კი იხდიან, მაგრამ მხოლოდ ამით ფონს ვერ გახვალ, თუმც როცა ვხედავ, თუ როგორ გაუადვილა კრსტაიჩმა თანაგუნდელებს საქმე, შეიძლება ითქვას, რომ მათი მოსვლით ყველამ იხეირა.

— ჩემპიონობის მთავარ ფავორიტად „ბაიერნს“ მიიჩნევენ, „შალკე“ კი მეორეა. თქვენ რას ფიქრობთ?

— მე წინასწარმეტყველი არ ვარ და ვერ გეტყვით, რა მოხდება, მაგრამ ის კი ვიცი, რომ „შალკე“ 1958 წლის შემდეგ ჩემპიონი არ გამხდარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საფრანგეთი. პირველი დივიზიონი 2004-2005

# ფრანგული ექსპორტი

## ლიონის მეოთხეს ველარ მოითმენენ

*ყოველ წელს ერთი და იგივე მეორდება. საფრანგეთში გამოზრდილი ნიჭიერი ფეხბურთელები ევროპელ ბობოლებს მიჰყავთ. ამ მხრივ ეს ზაფხულიც არაა გამონაკლისი. „ოსერი" ჯიბრილ სისემ, ჟან ალენ ბუმსონგმა და ოლივიე კაპომ დატოვეს. „მონაკო" ლუდოვიკ ჟიულის, „მარსელი" კი დიდიე დროგბას შეელია. რომელ გუნდს აქვს ჩემპიონობის ყველაზე კარგი შანსი? ალბათ ისევ „ლიონს", პსჟ-სა და „მონაკოს", რადგან ფულიც ბევრი დაეთვლებათ და შემადგენლობაც სხვებზე უკეთესი ჰყავთ*

### ლიონი

ბოლო სამი წლის ჩემპიონი ზედიზედ მეოთხე ჯილდოს მოსაგებად ემზადება. მიუხედავად იმისა, რომ გუნდი ოთხმა ძლიერმა ფეხბურთელმა დატოვა — პეგი ლუინდულა „მარსელში", ედმილსონი „ბარსელონაში", ერიკ კარიერი „ლანსში", ერიკ დეფლანდრე კი ლიეჟის „სტანდარტში" გადავიდნენ. სამაგიეროდ, „ლილის" მცველი ერიკ აბიდალი და „სოშოს" მთავარმეგოლე პიერ ალან ფრო შეიძინეს. საშინაო ჩემპიონატის გარდა „ლიონს", ცხადია, ევროსარბიელზეც სურს წარმატების მიღწევა და პოლ ლეგუენს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალი უკვე აღარ აკმაყოფილებს. ლიონელები „პორტუსთან" სწორედ მეოთხედფინალში დამარცხდნენ.

### მონაკო

დიდიე დეშანის გუნდი შარშან ჩემპიონობასა და ჩემპიონთა ლიგის თასთანაც ძალიან ახლოს იყო, მაგრამ ბოლოს ორივე დაკარგა. ევრობობოლებთან ჭიდილში „მონაკოს" არაქათი გამოეცალა და „ლიონმა" პირველობა წაართვა. დეშანის ბრწყინვალე შემტევი ოთხეული (ჟიული, როტენი, პრსო, მორიენტესი) დაიშალა. ჟიული „ბარსელონას", როტენი პსჟ-ს, პრსო კი „რეინჯერს" ერგო, ხოლო მორიენტესი მადრიდის „რეალს" დაუბრუნდა, რომელიც გასულ გაზაფხულზე ორჯერ გაამწარა. ორმა საიმედო მცველმა, ედუარდ სისემ და უგო იბარამ თავიანთ კლუბებს მიაშურეს, რადგან ისინი „მონაკოს" ერთი წლით ჰყავდა ნათხოვარი. ასე რომ, მწვრთნელს ახალი გუნდის აწყობა მოუწევს. დეშანს განსაკუთრებით ნახევარდაცვაში გაუჭირდება, რაკი როტენ-ჟიულის წყვილი „დაკარგა", მაგრამ სამაგიეროდ, შეტევაში ასარჩევად აქვს საქმე. შაბანი ნონდას და ემანუელ ადებაიორს მოჰამედ კალონი და „ლეჩეში" თავგამოჩენილი ხავიერ ერნესტო ჩევანტონი შეუერთდნენ.

### მარსელი

მთავარმეგოლე დიდიე დროგბა, რომელმაც გასულ სეზონში ჩემპიონატში 18, ევროთასებზე კი 11 გოლი გაიტანა, სამხრეთელებმა მსუყე თანხის სანაცვლოდ „ჩელსის" მიჰყიდეს, მის ნაცვლად კი ლიონელი პეგი ლუინდულა შეიძინეს. ხოლო „ბაიერნიდან" ბიქსენტ ლიზარაზუ, „სოშოდან" ნაკრების ფეხბურთელი ბენუა პედრეტი, პსჟ-დან მცველი ფრედერიკ დეუ გადაიყვანეს, „ლივერპულიდან" კი ბრუნო შეირუ დაიმატეს. „მარსელის" შემტევი სამეული სავარაუდოდ ასეთი იქნება: ბრუნო შეირუ, სტივ მარლე და პეგი ლუინდულა.

### პსჟ

ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩმა წინა სეზონში გუნდი მეორე ადგილზე გაიყვანა. ბოსნიელი მწვრთნელის მისვლამდე, ლუის ფერნანდესის ხელში კი, პარიზელები ცხრილის შუაში ამთავრებდნენ ხოლმე ჩემპიონატს. ცხადია, პსჟ-ს მადა გაეხსნა და კვლავ პირველობისთვის იბრძოლებს. მით უმეტეს, დედაქალაქელები ოთხი ახალწვეულით გაძლიერდნენ. სილვენ არმანი და მარიო იეპესი „ნანტიდან", ჟერომ როტენი „მონაკოდან", დანიელ ლუბოია კი „სტრასბურიდან" გადაიბირეს. გუნდში დაბრუნდნენ განათხოვრებული ედუარდ სისე და ოგბეჩე.

### ოსერი

გი რუს ბარტყები, ჟან ალენ ბუმსონგი, ჯიბრილ სისე და ოლივიე კაპო დაფრთიანდნენ და გუნდიც მათ მოზრდილი თანხის სანაცვლოდ შეელია. გასულ სეზონში „ოსერის" 60 გოლიდან 26 ჯიბრილ სისემ გაიტანა. ამიერიდან კი თმაწვერთეთრი ფორვარდი „ლივერპულისთვის" გაირჯება. ბუმსონგმა გლაზგოს „რეინჯერს" მიაშურა, ხოლო ოლივიე კაპო ფაბიო კაპელოს „იუვენტუსში" ითამაშებს. სამი ფეხბურთელის წასვლა გუნდს, რა თქმა უნდა, დაეტყობა, მაგრამ სანამ მხცოვანი გი რუ ცოცხალია, ასეთებს ალბათ კიდევ გამოზრდის.

### სოშო

ლიგის თასის მფლობელი გუნდიდან სამი მთავარი ფეხბურთელი წავიდა. პიერ ალან ფრო „ლიონში" ითამაშებს, მიკაელ პაგისი „სტრასბურში", ბენუა პედრეტი კი „მარსელის" მაისურას მოირგებს. გი ლაკომბს მომავალ თაობასთან მუშაობა და ახალი გუნდის შენება მოუწევს.

### ნანტი

„იადონები" ერთბაშად შვიდმა ფეხბურთელმა დატოვა. მათ შორის ძირითადი შემადგენლობის სამმა მცველმა. ნიკოლა ჟილე „ლანსს", მარიო იეპესი და სილვენ არმანი კი პსჟ-ს ერგო. ლამის „ნანტის" სიმბოლოდ ქცეული რუმინელი ფორვარდი ვიორელ მოლდოვანი სტეფან ზიანისთან ერთად შვეიცარიულ „სერვეტში" გადაბარგდა, ხოლო მარამა ვაირუა „ნიცას" ეახლა.

### ლანსი

„წითელ-ყვითლები" შემადგენლობით ჩემპიონობის ფავორიტებს არაფრით ჩამოუვარდებიან. გუნდი პაპე ბუბა დიოპმა („ფულემი") და მეგოლე დანიელ მორეირამ („ტულუზა") დატოვეს. სამაგიეროდ, „ლანსში" „ნანტიდან" ნიკოლა ჟილე, „ლიონიდან" ნახევარმცველი ერიკ კარიერი, „გენგამიდან" ჟერომ ლეროი, „ლე მანიდან" კი ფორვარდი დანიელ კუზინი მივიდნენ. ჟოელ მიულერი ოთხეულში მოხვედრას გეგმავს.

### ბორდო

ჟირონდულმა კლუბმა წინა ჩემპიონატი მე-12 საფეხურზე დაასრულა და მომავალ სეზონშიც არ ელის უკეთესი პერსპექტივა. ალბერტ სელადესი მადრიდის „რეალს", პაულუ კოშტა კი „პორტუს" დაუბრუნა, პასკალ ფეინდუნო „სევილიას" დაუთმო, ხოლო მაურისიო პოჩეტინო „ესპანიოლს".

### სხვები

**„რენი"** შარშანდელმა მეცხრე ადგილმა შეაგულიანა და ლასლო ბოლონის გუნდი უეფას თასზე გასვლას აპირებს. „რენმა" შვედური „იურგორდენიდან" მეკარე ისაკსონი შეიძინა, რომელიც „ჩელსიში" წასულ პეტერ ჩეხს შეცვლის.

**„ბასტიას"** მწვრთნელმა ფრანსუა ჩიჩოლინიმ განაცხადა, წინა სეზონში გავარდნას ძლივს გადავურჩით, ამჯერა უკეთესი ადგილისთვის ვიბრძოლებთო.

**„მეცის"** თავკაც ჟან ფერნანდესს გუნდში ბევრი ახალგაზრდა ჰყავს და გუნდის მთავარი ამოცანა ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა.

ახალგადმოსულ **„ისტრს"** ახლავე გავარდნას უწინასწარმეტყველებენ, მაგრამ მეჰმეთ ბაზდარევიჩის თქმით, მისი შეგირდების ჩამოწერა ნაადრევია, რადგან საკმაოდ კარგად მომზადებული გუნდი ჰყავს.

**„ტულუზამ"** დომენიკ არიბაჟე, სტეფან დალმა და დანიელ მორეირა გადაიბირა. მწვრთნელი ერიკ მომბერტსი ამიტომაც იმედიანადაა.

„ორი სეზონის მანძილზე პირველ დივიზიონში დაქვეითებას ბოლო ტურებში გადავურჩით და აღარ მსურს, იგივე განმეორდეს" — განაცხადა **„აიაჩოს"** თავკაცმა დომენიკ ბიჟოტამ.

საფრანგეთის ათგზის ჩემპიონი **„სენტ ეტიენი"** უძლიერესთა შორის ელი ბოპმა დააბრუნა და „დიდებთან" საბრძოლველად ემზადება: „პირველი წელი ყოველთვის რთულია. რა თქმა უნდა, ძალიან მძიმე სეზონი გველის, მაგრამ არავის შევუშინდებით".

**მაჟა ხუციშვილი**



ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩის მადას მხოლოდ ჩემპიონობა თუ დააკმაყოფილებს



„მონაკოში" აღარც ფერნანდო მორიენტესია და აღარც ჟერომ როტენი




„მარსელი" ბენუა პედრეტით გაძლიერდა



„ლიონის" ჩემპიონობაში მეკარე გრეგორი კუპეს წვლილი დიდია

# საფრანგეთი. პირველი დივიზიონი 2004-2005

## 2004 წელი

### 1-ლი ტური: 7 აგვისტო
- ბასტია : სტრასბური
- კაენი : ისტრი
- მარსელი : ბორდო
- ლილი : ოსერი
- მეცი : ნანტი
- ნიცა : ლიონი
- სენტ ეტიენი : მონაკო
- რენი : პსჟ
- სოშო : აიაჩო
- ტულუზი : ლანსი

### მე-2 ტური: 14 აგვისტო
- აიაჩო : მეცი
- ოსერი : რენი
- ბორდო : ნიცა
- ლანსი : სენტ ეტიენი
- ლიონი : სოშო
- მარსელი : ლილი
- ნანტი : ბასტია
- მონაკო : ისტრი
- პსჟ : კაენი
- სტრასბური : ტულუზი

### მე-3 ტური: 21 აგვისტო
- ბასტია : აიაჩო
- ისტრი : ლანსი
- კაენი : მონაკო
- ლილი : ბორდო
- მეცი : ლიონი
- რენი : ნანტი
- ნიცა : მარსელი
- სენტ ეტიენი : სტრასბური
- ტულუზი : პსჟ
- სოშო : ოსერი

### მე-4 ტური: 28 აგვისტო
- აიაჩო : რენი
- ბორდო : სოშო
- ოსერი : კაენი
- ლანსი : მონაკო
- მარსელი : მეცი
- ლიონი : ლილი
- ნანტი : ტულუზი
- პსჟ : სენტ ეტიენი
- ნიცა : ბასტია
- სტრასბური : ისტრი

### მე-5 ტური: 11 სექტემბერი
- ბასტია : ოსერი
- კაენი : ლანსი
- ისტრი : პსჟ
- ლილი : ნიცა
- მეცი : ბორდო
- მონაკო : სტრასბური
- რენი : ლიონი
- სოშო : მარსელი
- სენტ ეტიენი : ნანტი
- ტულუზი : აიაჩო

### მე-6 ტური: 18 სექტემბერი
- აიაჩო : სენტ ეტიენი
- ბორდო : რენი
- ოსერი : მეცი
- ლილი : კაენი
- ლიონი : ბასტია
- ნანტი : ისტრი
- მარსელი : ტულუზი
- ნიცა : სოშო
- პსჟ : მონაკო
- სტრასბური : ლანსი

### მე-7 ტური: 22 სექტემბერი
- ბასტია : ბორდო
- ისტრი : აიაჩო
- კაენი : სტრასბური
- ლანსი : პსჟ
- მონაკო : ნანტი
- მეცი : ნიცა
- რენი : მარსელი
- სენტ ეტიენი : ოსერი
- ტულუზი : ლიონი
- სოშო : ლილი

### მე-8 ტური: 25 სექტემბერი
- აიაჩო : კაენი
- ოსერი : ისტრი
- ბორდო : ტულუზი
- ლიონი : მონაკო
- ნანტი : ლანსი
- ლილი : მეცი
- მარსელი : ბასტია
- ნიცა : რენი
- სოშო : სენტ ეტიენი
- პსჟ : სტრასბური

### მე-9 ტური: 2 ოქტომბერი
- ბასტია : პსჟ
- ისტრი : მარსელი
- კაენი : ბორდო
- ლანსი : აიაჩო
- მონაკო : ნიცა
- მეცი : სოშო
- რენი : ლილი
- სენტ ეტიენი : ლიონი
- ტულუზი : ოსერი
- სტრასბური : ნანტი

### მე-10 ტური: 16 ოქტომბერი
- აიაჩო : სტრასბური
- ბორდო : ისტრი
- ლიონი : კაენი
- ოსერი : ლანსი
- ლილი : ბასტია
- მარსელი : სენტ ეტიენი
- ნანტი : პსჟ
- მეცი : მონაკო
- ნიცა : ტულუზი
- სოშო : რენი

### მე-11 ტური: 23 ოქტომბერი
- კაენი : ნანტი
- ბასტია : სოშო
- ისტრი : ლიონი
- მონაკო : ოსერი
- რენი : მეცი
- ლანსი : მარსელი
- პსჟ : აიაჩო
- სენტ ეტიენი : ბორდო
- ტულუზი : ლილი
- სტრასბური : ნიცა

### მე-12 ტური: 30 ოქტომბერი
- აიაჩო : ნანტი
- ბორდო : ლანსი
- ლიონი : სტრასბური
- ოსერი : პსჟ
- ლილი : სენტ ეტიენი
- მეცი : ბასტია
- რენი : კაენი
- მარსელი : მონაკო
- ნიცა : ისტრი
- სოშო : ტულუზი

### მე-13 ტური: 6 ნოემბერი
- ბასტია : რენი
- კაენი : სოშო
- ისტრი : ლილი
- მონაკო : აიაჩო
- პსჟ : მარსელი
- ლანსი : ლიონი
- ნანტი : ოსერი
- სენტ ეტიენი : ნიცა
- ტულუზი : მეცი
- სტრასბური : ბორდო

### მე-14 ტური: 13 ნოემბერი
- ოსერი : აიაჩო
- ბორდო : პსჟ
- ბასტია : სენტ ეტიენი
- ლილი : მონაკო
- მარსელი : სტრასბური
- ლიონი : ნანტი
- მეცი : კაენი
- ნიცა : ლანსი
- სოშო : ისტრი
- რენი : ტულუზი

### მე-15 ტური: 20 ნოემბერი
- აიაჩო : მარსელი
- კაენი : ნიცა
- ისტრი : მეცი
- ლანსი : ლილი
- მონაკო : სოშო
- პსჟ : ლიონი
- ნანტი : ბორდო
- სენტ ეტიენი : რენი
- სტრასბური : ოსერი
- ტულუზი : ბასტია

### მე-16 ტური: 27 ნოემბერი
- ბასტია : კაენი
- ბორდო : აიაჩო
- ლიონი : ოსერი
- მარსელი : ნანტი
- ლილი : სტრასბური
- მეცი : სენტ ეტიენი
- რენი : ისტრი
- ნიცა : პსჟ
- სოშო : ლანსი
- ტულუზი : მონაკო



დიდიე დროგბამ საფრანგეთს ინგლისური პრემიერლიგა ამჯობინა

### მე-17 ტური: 4 დეკემბერი
- აიაჩო : ლიონი
- კაენი : მარსელი
- ოსერი : ბორდო
- ისტრი : ბასტია
- ლანსი : მეცი
- ნანტი : ნიცა
- სენტ ეტიენი : ტულუზი
- მონაკო : რენი
- პსჟ : ლილი
- სტრასბური : სოშო

### მე-18 ტური: 11 დეკემბერი
- ბასტია : მონაკო
- ბორდო : ლიონი
- მარსელი : ოსერი
- ლილი : ნანტი
- მეცი : სტრასბური
- ნიცა : აიაჩო
- სენტ ეტიენი : კაენი
- ტულუზი : ისტრი
- რენი : ლანსი
- სოშო : პსჟ

### მე-19 ტური: 18 დეკემბერი
- აიაჩო : ლილი
- კაენი : ტულუზი
- ოსერი : ნიცა
- ისტრი : სენტ ეტიენი
- ლანსი : ბასტია
- მონაკო : ბორდო
- პსჟ : მეცი
- ლიონი : მარსელი
- ნანტი : სოშო
- სტრასბური : რენი

## 2005 წელი

### მე-20 ტური: 12 იანვარი
- ბასტია : ნანტი
- კაენი : პსჟ
- ლილი : მარსელი
- ნიცა : ბორდო
- ისტრი : მონაკო
- მეცი : აიაჩო
- რენი : ოსერი
- სენტ ეტიენი : ლანსი
- სოშო : ლიონი
- ტულუზი : სტრასბური

### 21-ე ტური: 15 იანვარი
- აიაჩო : ბასტია
- ბორდო : ლილი
- ოსერი : სოშო
- ლანსი : ისტრი
- მარსელი : ნიცა
- ნანტი : რენი
- ლიონი : მეცი
- მონაკო : კაენი
- პსჟ : ტულუზი
- სტრასბური : სენტ ეტიენი

### 22-ე ტური: 22 იანვარი
- ბასტია : ნიცა
- ისტრი : სტრასბური
- მეცი : მარსელი
- კაენი : ოსერი
- ლილი : ლიონი
- მონაკო : ლანსი
- სენტ ეტიენი : პსჟ
- რენი : აიაჩო
- სოშო : ბორდო
- ტულუზი : ნანტი

### 23-ე ტური: 26 იანვარი
- აიაჩო : ტულუზი
- ბორდო : მეცი
- ლიონი : რენი
- ოსერი : ბასტია
- მარსელი : სოშო
- ნიცა : ლილი
- ნანტი : სენტ ეტიენი
- პსჟ : ისტრი
- სტრასბური : მონაკო
- ლანსი : კაენი

### 24-ე ტური: 29 იანვარი
- ბასტია : ლიონი
- კაენი : ლილი
- ისტრი : ნანტი
- ლანსი : სტრასბური
- მონაკო : პსჟ
- სენტ ეტიენი : აიაჩო
- მეცი : ოსერი
- რენი : ბორდო
- სოშო : ნიცა
- ტულუზი : მარსელი

### 25-ე ტური: 5 თებერვალი
- აიაჩო : ისტრი
- ბორდო : ბასტია
- ოსერი : სენტ ეტიენი
- ლილი : სოშო
- ლიონი : ტულუზი
- ნანტი : მონაკო
- მარსელი : რენი
- ნიცა : მეცი
- სტრასბური : კაენი
- პსჟ : ლანსი

### 26-ე ტური: 19 თებერვალი
- ბასტია : მარსელი
- ისტრი : ოსერი
- კაენი : აიაჩო
- ლანსი : ნანტი
- მეცი : ლილი
- რენი : ნიცა
- მონაკო : ლიონი
- სენტ ეტიენი : სოშო
- სტრასბური : პსჟ
- ტულუზი : ბორდო

### 27-ე ტური: 26 თებერვალი
- აიაჩო : ლანსი
- ოსერი : ტულუზი
- ლილი : რენი
- ბორდო : კაენი
- მარსელი : ისტრი
- ლიონი : სენტ ეტიენი
- ნანტი : სტრასბური
- ნიცა : მონაკო
- სოშო : მეცი
- პსჟ : ბასტია

### 28-ე ტური: 5 მარტი
- ბასტია : ლილი
- ისტრი : ბორდო
- კაენი : ლიონი
- ლანსი : ოსერი
- მონაკო : მეცი
- რენი : სოშო
- სტრასბური : აიაჩო
- პსჟ : ნანტი
- სენტ ეტიენი : მარსელი
- ტულუზი : ნიცა

### 29-ე ტური: 12 მარტი
- აიაჩო : პსჟ
- ბორდო : სენტ ეტიენი
- ლიონი : ისტრი
- ოსერი : მონაკო
- ლილი : ტულუზი
- მარსელი : ლანსი
- ნანტი : კაენი
- მეცი : რენი
- ნიცა : სტრასბური
- სოშო : ბასტია

### 30-ე ტური: 19 მარტი
- ბასტია : მეცი
- კაენი : რენი
- ლანსი : ბორდო
- ისტრი : ნიცა
- მონაკო : მარსელი
- ნანტი : აიაჩო
- სენტ ეტიენი : ლილი
- პსჟ : ოსერი
- სტრასბური : ლიონი
- ტულუზი : სოშო

### 31-ე ტური: 2 აპრილი
- აიაჩო : მონაკო
- ბორდო : სტრასბური
- ლიონი : ლანსი
- ოსერი : ნანტი
- ლილი : ისტრი
- მარსელი : პსჟ
- ნიცა : სენტ ეტიენი
- მეცი : ტულუზი
- რენი : ბასტია
- სოშო : კაენი

### 32-ე ტური: 9 აპრილი
- აიაჩო : ოსერი
- კაენი : მეცი
- ლანსი : ნიცა
- ნანტი : ლიონი
- ისტრი : სოშო
- მონაკო : ლილი
- პსჟ : ბორდო
- სტრასბური : მარსელი
- სენტ ეტიენი : ბასტია
- ტულუზი : რენი

### 33-ე ტური: 16 აპრილი
- ოსერი : სტრასბური
- ბორდო : ნანტი
- ბასტია : ტულუზი
- ლილი : ლანსი
- მარსელი : აიაჩო
- ლიონი : პსჟ
- მეცი : ისტრი
- ნიცა : კაენი
- სოშო : მონაკო
- რენი : სენტ ეტიენი

### 34-ე ტური: 23 აპრილი
- აიაჩო : ბორდო
- ოსერი : ლიონი
- ისტრი : რენი
- მონაკო : ტულუზი
- კაენი : ბასტია
- ლანსი : სოშო
- ნანტი : მარსელი
- სენტ ეტიენი : მეცი
- პსჟ : ნიცა
- სტრასბური : ლილი

### 35-ე ტური: 7 მაისი
- ბასტია : ისტრი
- ბორდო : ოსერი
- ლიონი : აიაჩო
- მეცი : ლანსი
- ლილი : პსჟ
- მარსელი : კაენი
- ნიცა : ნანტი
- რენი : მონაკო
- სოშო : სტრასბური
- ტულუზი : სენტ ეტიენი

### 36-ე ტური: 14 მაისი
- აიაჩო : ნიცა
- ოსერი : მარსელი
- ისტრი : ტულუზი
- კაენი : სენტ ეტიენი
- ლანსი : რენი
- ლიონი : ბორდო
- ნანტი : ლილი
- მონაკო : ბასტია
- პსჟ : სოშო
- სტრასბური : მეცი

### 37-ე ტური: 21 მაისი
- ბასტია : ლანსი
- ლილი : აიაჩო
- ბორდო : მონაკო
- მარსელი : ლიონი
- მეცი : პსჟ
- რენი : სტრასბური
- ნიცა : ოსერი
- სენტ ეტიენი : ისტრი
- სოშო : ნანტი
- ტულუზი : კაენი

### 38-ე ტური: 28 მაისი
- აიაჩო : სოშო
- ბორდო : მარსელი
- ოსერი : ლილი
- ისტრი : კაენი
- ლიონი : ნიცა
- ლანსი : ტულუზი
- მონაკო : სენტ ეტიენი
- პსჟ : რენი
- ნანტი : მეცი
- სტრასბური : ბასტია

# სანჩესი რიგში დგას

## უგოს რეალში დაბრუნება უნდა



მექსიკის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ძველმა ლეგენდამ, უგო სანჩესმა ესპანურ „ლიბრედირექტოსთან“ ინტერვიუში სამეფო კლუბის მწვრთნელობის დიდი სურვილი გაამხილა.

„რეალს“ მომდევნო ორი სეზონის განმავლობაში ხოსე ანტონიო კამაჩო, ჩემი ძველი მეგობარი გაწვრთნის და, რა თქმა უნდა, მას წარმატებებს ვუსურვებ, თუმც ფლორენტინო პერესმა ხოსეს მერე მწვრთნელად მე რომ დამასახელოს, საქმეებს ცუდად არ წავიყვან. შეიძლება, მადრიდელებმა კამაჩოს შემდეგ სხვა ვინმე აირჩიონ, მაგრამ უგო სანჩესი თავის შანსს მაინც მოთმინებით დაელოდება“ — განუცხადა ჟურნალისტებს „სანტიაგო ბერნაბეუს“ ოდინდელმა მეგოლემ.

1985-92 წლებში „რეალში“ მოთამაშე დიდი მექსიკელი ოთხჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი. დედაქალაქური კლუბის შემადგენლობაში სულ 164 გოლი გაიტანა, იქამდე კი „ატლეტიკოში“ — 54, ხოლო კარიერის დასასრულს „რაიო ვალეკანოში“ — 16. საერთო ჯამში მის საპრიმერო ანგარიშზე 234 გოლი დაგროვდა.

ამჟამად უგო მექსიკის ჩემპიონ „პუმების“ მწვრთნელია, გუნდისა, რომელიც 21 სექტემბერს მადრიდის „რეალის“ მიწვევით კასტილიელებს სანტიაგო ბერნაბეუს თასზე უნდა ეთამაშოს. „ჩემმა მეგობარმა ემილიო ბუტრაგენიომ მოწინააღმდეგედ სწორედ ჩვენი კლუბი მიიწვია. ამისთვის მას მადლობას ვუხდი და ვპირდები, რომ მატჩი საინტერესო იქნება. თანაც „რეალთან“ ჩატარებული შეხვედრა ძველ ოცნებასთან, სამეფო გუნდის მწვრთნელობასთან უფრო დამაახლოვებს“ — გაამხილა სანჩესმა კასტილიური ხვაშიადი.

**ლადო ხომერიკი**

# რონალდინიო ეტოოს ბარსაში უხმობს






„ბარსელონას“ ბრაზილიელი რონალდინიო ახლა ჩინებულ ფორმაშია და კატალონიური კლუბისთვისაც გაუჩოს შვედ მეგოლესთან, ჰენრიკ ლარსონთან იღბლიანი შეამხანაგება ერთ-ერთი სასიხარულო ამბავია. ოკეანისგაღმელი ვარსკვლავი დამდეგ პრიმერადივიზიონს დიდი იმედით შესცქერის და უნდა „ბარსას“ სამომავლო გამარჯვებები მასთან ერთად სამუელ ეტოომოც გაიზიაროს.

ბარსელონურ „სპორტთან“ ინტერვიუში რონალდინიომ კამერუნელზეც ილაპარაკა. ბრაზილიელი აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელის კატალონიაში ჩასვლას დიდი სიხარულით შეეგებება: „დარწმუნებული ვარ, ეტოოსთან ერთად კარგ თამაშს ვაჩვენებთ. იგი ძალიან სწრაფი და გონიერი ფეხბურთელია, ამავდროულად ბრწყინვალე ტექნიკასაც ფლობს. „ბარსა“ სამუელის სახით დიდ ძალას შეიძენს“.

სამუელ ეტოო კი მასზე უფლებების მქონე ფლორენტინო პერესის გამო ჯერჯერობით ისევ „მალიორკას“ მოთამაშედ რჩება. ესპანური მედიის ცნობით, კამერუნელის სატრანსფერო საქმე მალე უნდა გაირკვეს.

**ლადო ხომერიკი**

# პრეზენტაციის სტვენოგრამა

სან სებასტიანის „სოსიედადი“ „ანოეტაზე“ შეკრებილ 10 ათას ერთგულ ქომაგს წარუდგა. სტადიონზე რიგრიგობით გასულ ფეხბურთელებს ბასკი გულშემატკივრები ოვაციებით შეხვდნენ, მიუხედავად წინა სეზონში გუნდის წარუმატებელი თამაშისა.

კლუბის პრეზიდენტს, ხოსე ლუის ასტიასარანს კი „ანოეტაზე“ შეკრებილი ქომაგობა გამაყრუებელი სტვენით შეეგება — საქმე ისაა, რომ ბასკთა ინჩადა განვლილ მარცხიან სეზონს სწორედ კლუბის თავკაცის არასწორ პოლიტიკას აბრალებს — თუმცა „სოსიედადის“ მთავარჩინოვნიკს სიტყვის თქმის საშუალება მაინც მისცეს. „დამდეგი სეზონი ჩვენთვის ახალ გამოწვევას ნიშნავს. დღეს „სოსიედადს“ ახალი მწვრთნელი ჰყავს, რომლის მეშვეობითაც გუნდმა გულშემატკივარი ჯილდოებით უნდა გაახაროს. ჩვენ ყველა ვიზრუნებთ, რომ „ანოეტაზე“ 2003-2004-ის პრიმერას მსგავსი საწყენი სიუჟეტი არ განმეორდეს“ — დააიმედა ხოსე ლუის ასტიასარანმა ქომაგები.

პრეზიდენტისგან განსხვავებით, ინჩასებმა მწვრთნელ ამორორტუს და ყურადღებით მოუსმინეს. „მოდით, ახალ ჩემპიონატს ყველამ ისე შევხედოთ, როგორც გადამწყვეტ ბრძოლას. დარწმუნებული ვარ, ერთობლივი მოქმედებით ღირსეულ გამარჯვებებს მივაღწევთ. „სოსიედადის“ ფანობას კლუბის სახელით მოედანზე სრულ თავდადებას ვპირდები. ეს სეზონი ჩვენთვის განსაკუთრებული უნდა გამოდგეს“ -- თქვა ამორორტუმ.

**ლადო ხომერიკი**

**რუსეთის** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ვიაჩესლავ კოლოსკოვს უეფას თავკაცობა არ უნდა. „ერთხელ მართლაც ვესაუბრე ლენარტ იუჰანსონს ამ საკითხებზე. მან მკითხა, შენს კანდიდატურაზე რას იტყვიო? მე ძალიან თავაზიანად ვაგრძნობინე, რომ არ ვიყავი თანახმა. ჩემი აზრი გამოვთქვი უეფას მომავალი პრეზიდენტობის მთავარ კანდიდატზეც, მაგრამ ვინ არის იგი, ახლა ვერ გეტყვით“ — განაცხადა კოლოსკოვმა.

**ხორვატიის** ნაკრებისა და იტალიური „ნაპოლის“ 29 წლის მცველი მარიო ცვიტანოვიჩი შესაძლოა მოსკოვის „დინამოში“ გადაბარგდეს. როგორც იცით, ნეაპოლური კლუბი გაკოტრდა და სერია C1-ში დაქვეითდა, რის. გამოც მას წამყვანი მოთამაშეები ტოვებენ. ცვიტანოვიჩს „დინამოს“ ხელმძღვანელები რამდენიმე დღე დააკვირდებიან და გადაწყვეტილებასაც მერე მიიღებენ.

**ინგლისურმა** „მანჩესტერმა“ 15 წლის პერსპექტიული გერმანელი მეკარე რონ-რობერტ ზილერი შეიძინა. იმედისმომცემი გოლკიპერი ახალ გუნდს ერთი წლის შემდეგ შეუერთდება, იქამდე კი სკოლას დაამთავრებს. „წითელი ეშმაკების“ სკაუტები ზილერის თამაშით ერთ-ერთ ახალგაზრდულ ტურნირზე მოიხიბლნენ და კლუბის ხელმძღვანელობას ურჩიეს, სასწრაფოდ შეეძინათ იგი.

**ლატვიელი** ფორვარდი მარიან პახარსი სავარაუდოდ პრემიერლიგის რამდენიმე მატჩს გამოტოვებს. შეგახსენებთ, რომ თითქმის ორი სეზონია, პახარსი ტრავმებმა გააწამა. ამჯერად იგი „საუთჰემპტონისა“ და „სუინდონის“ მატჩის მე-10 წუთზე დაშავდა. „ეს იგივე ტრავმაა, რომელმაც ბოლო ორი წელი გამაწვალა. ამჟამად რამდენად სერიოზულად დავშავდი არ ვიცი, მაგრამ როდესაც სამ ოპერაციას გადაიტან, უკვე ნებისმიერ წვრილმანზე ნერვიულობ“ — თქვა პახარსმა.

**ინგლისური** „მიდლსბროს“ მცველმა მიხაელ რაიციგერმა ეროვნული ნაკრები დატოვა. ფეხბურთელის თქმით, მან ეს გადაწყვეტილება ევრო 2004-ის დასრულების შემდეგ მიიღო. 31 წლის რაიციგერმა ჰოლანდიის ღირსება 72-ჯერ დაიცვა და ორი გოლი გაიტანა.

**შვედმა** ნახევარმცველმა ფრედი ლიუნგბერგმა შესაძლოა, პატრიკ ვიეირას მსგავსად ლონდონის „არსენალი“ დატოვოს. ადრე მასაც მადრიდის „რეალი“ უტრიალებდა, მაგრამ ახლა შვედით იტალიური კლუბები, „იუვენტუსი“, „ინტერი“ და „რომა“ დაინტერესდნენ. თუ რომელიმე მათგანი 15 მილიონ ევროს გაიღებს, შვედი ულაპარაკოდ გაიყიდება.

**ფრანგული** „მარსელის“ გენერალურმა მენეჯერმა პაპე დიუფმა საჯაროდ განაცხადა, რომ სილვენ ვილტორდი დი ლორან რობერი არ გვაინტერესებსო. შეგახსენებთ, რომ ფრანგული პრესა ცოტა ხნის წინ იუწყებოდა, უგუნდოდ დარჩენილი ვილტორდი ნავსაყუდელს „მარსელში“ იპოვის და დიდი შანსია, „ველოდრომზე“ ნიუკასლელი რობერიც ვიხილოთ.



პორტუგალიამოვლილი იაპ სტამი ისევ იტალიაში დაბრუნდა, ოღონდ რომის და „ლაციოს“ ნაცვლად მილანს მიაშურა: გუშინ იგი ოფიციალურად წარადგინეს „მილანის“ ფეხბურთელად

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

### სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი. I ტური.** | | | | | | |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 15.15 | 051 | ლიდსი-დერბი | 1,75 | 3,2 | 4,4 | 1,13 | 1,25 | 1,85 |
| 18.00 | 052 | ბარნლი-შეფილდი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 18.00 | 053 | ქრიუ-კარდიფი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 18.00 | 054 | იფსვიჩი-ჯილინგემი | 1,55 | 3,4 | 6,0 | 1,06 | 1,23 | 2,17 |
| 18.00 | 055 | ლესტერი-ვესტ ჰემი | 2,25 | 3,2 | 2,9 | 1,32 | 1,26 | 1,52 |
| 18.00 | 056 | პლიმუთი-მილუოლი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| 18.00 | 057 | პრესტონი-უოტფორდი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 18.00 | 058 | ქპრ-როტერჰემი | 1,75 | 3,3 | 4,2 | 1,14 | 1,23 | 1,84 |
| 18.00 | 059 | რედინგი-ბრაიტონი | 1,7 | 3,3 | 4,6 | 1,12 | 1,24 | 1,92 |
| 18.00 | 060 | უიგანი-ნოტინგემი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 20.35 | 061 | ქოვენტრი-სანდერლენდი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| | | **8 აგვისტო** | | | | | | |
| 15.15 | 062 | სტოკი-ვულვერჰემპტონი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| | | **ინგლისი. I ლიგა. I ტური** | | | | | | |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 068 | ბრისტოლი-ტორკი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 18.00 | 069 | ჩესტერფილდი-ბრენტფორდი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| 18.00 | 070 | დონკასტერი-ბლეკპული | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |
| 18.00 | 071 | ჰარტლპული-ბრედფორდი | 1,95 | 3,2 | 3,4 | 1,21 | 1,23 | 1,64 |
| 18.00 | 072 | ჰალი-ბორნმუთი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 18.00 | 073 | ლუტონი-ოლდემი | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| 18.00 | 074 | დონსი-ბარნსლი | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1,37 | 1,22 | 1,4 |
| 18.00 | 075 | პიტერბრო-ტრანმერი | 2,6 | 3,2 | 2,35 | 1,43 | 1,23 | 1,35 |
| 18.00 | 076 | უენსდი-კოლჩესტერი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 18.00 | 077 | სტოკპორტი-ჰადერსფილდი | 2,15 | 3,2 | 3,0 | 1,28 | 1,25 | 1,54 |
| 18.00 | 078 | უოლსოლი-პორტ ვეილი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 18.00 | 079 | რექსემი-სუინდონი | 2,45 | 3,2 | 2,45 | 1,38 | 1,22 | 1,38 |
| | | **ინგლისი. II ლიგა. I ტური** | | | | | | |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 083 | ბოსტონი-ოქსფორდი | 2,25 | 3,2 | 2,8 | 1,32 | 1,24 | 1,49 |
| 18.00 | 084 | ბერი-იოვილი | 2,5 | 3,2 | 2,4 | 1,4 | 1,22 | 1,37 |
| 18.00 | 085 | დარლინგტონი-გრიმსბი | 2,35 | 3,2 | 2,6 | 1,35 | 1,23 | 1,43 |
| 18.00 | 086 | ლეიტონი-მაკლსფილდი | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,19 | 1,23 | 1,67 |
| 18.00 | 087 | მენსფილდი-როვერსი | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |
| 18.00 | 088 | ნოტსი-ჩესტერი | 2,05 | 3,2 | 3,2 | 1,24 | 1,24 | 1,6 |
| 18.00 | 089 | რაშდენი-კიდერმინსტერი | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |
| 18.00 | 090 | სკანთორპი-როჩდეილი | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,19 | 1,23 | 1,67 |
| 18.00 | 091 | შრიუსბერი-ლინკოლნი | 2,35 | 3,2 | 2,6 | 1,35 | 1,23 | 1,43 |
| 18.00 | 092 | საუთენდი-ჩელტენემი | 2,15 | 3,2 | 3,0 | 1,28 | 1,25 | 1,54 |
| 18.00 | 093 | სუონსი-ნორთჰემპტონი | 2,45 | 3,2 | 2,45 | 1,38 | 1,22 | 1,38 |
| 18.00 | 094 | უიკომბი-კემბრიჯი | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,19 | 1,23 | 1,67 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა. I ტური** | | | | | | |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 15.30 | 098 | აბერდინი-რეინჯერსი | 7,0 | 3,6 | 1,45 | 2,37 | 1,2 | 1,03 |
| 18.00 | 099 | დანდი-ჰართსი | 2,7 | 3,2 | 2,35 | 1,46 | 1,25 | 1,35 |
| 18.00 | 100 | დანფერმლაინი-დანდი იუნაიტედი | 2,15 | 3,2 | 3,1 | 1,28 | 1,26 | 1,57 |
| 18.00 | 101 | ჰიბერნიანი-კილმარნოკი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 18.00 | 102 | ლივინგსტონი-ინვერნესი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| | | **8 აგვისტო** | | | | | | |
| 17.00 | 103 | სელტიკი-მოზერუელი | 1,1 | 7,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,66 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი. I ტური** | | | | | | |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 106 | ერდრი-სტ.ჯონსტონი | 2,9 | 3,4 | 2,1 | 1,56 | 1,21 | 1,29 |
| 18.00 | 107 | კლაიდი-პარტიკი | 2,7 | 3,4 | 2,2 | 1,5 | 1,21 | 1,33 |
| 18.00 | 108 | ჰამილტონი-რეითი | 1,95 | 3,4 | 3,2 | 1,23 | 1,21 | 1,64 |
| 18.00 | 109 | ქუინი-როსი | 2,5 | 3,4 | 2,3 | 1,44 | 1,19 | 1,37 |
| 18.00 | 110 | სტ.მირენი-ფოლკირკი | 2,4 | 3,4 | 2,4 | 1,4 | 1,2 | 1,4 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი. I ტური** | | | | | | |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 113 | ბერიკი-მორტონი | 2,6 | 3,5 | 2,2 | 1,49 | 1,19 | 1,35 |
| 18.00 | 114 | დამბარტონი-ეარი | 2,25 | 3,4 | 2,6 | 1,35 | 1,2 | 1,47 |
| 18.00 | 115 | ფორფარი-ბრეჩინი | 3,0 | 3,5 | 2,0 | 1,61 | 1,2 | 1,27 |
| 18.00 | 116 | სტირლინგი-არბროთი | 2,15 | 3,5 | 2,7 | 1,33 | 1,19 | 1,52 |
| 18.00 | 117 | სტრანრარი-ალოა | 2,15 | 3,5 | 2,7 | 1,33 | 1,19 | 1,52 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი. I ტური** | | | | | | |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 120 | ისტ ფაიფი-მონტროუზი | 1,7 | 3,6 | 3,8 | 1,15 | 1,17 | 1,84 |
| 18.00 | 121 | გრეტნა-ალბიონი | 1,4 | 4,0 | 6,5 | 1,03 | 1,15 | 2,47 |
| 18.00 | 122 | პიტერჰედი-ისტ სტირლინგი | 1,15 | 5,6 | 11,0 | 1 | 1,04 | 3,71 |
| 18.00 | 123 | ქუინზ პარკი-კოუდენბითი | 2,5 | 3,4 | 2,3 | 1,44 | 1,19 | 1,37 |
| 18.00 | 124 | სტენჰაუზმური-ელგინი | 1,5 | 4,0 | 5,0 | 1,09 | 1,15 | 2,22 |
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. I ტური** | | | | | | |
| | | **6 აგვისტო** | | | | | | |
| 22.30 | 001 | ვერდერი-შალკე | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 17.30 | 002 | ფრაიბურგი-ჰანზა | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 17.30 | 003 | ჰერტა-ბოხუმი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 17.30 | 004 | ჰამბურგი-ბაიერნი | 3,5 | 3,2 | 2,0 | 1,67 | 1,27 | 1,23 |
| 17.30 | 005 | დორტმუნდი-ვოლფსბურგი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 17.30 | 006 | ლევერკუზენი-ჰანოვერი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 17.30 | 007 | კაიზერსლაუტერნი-ნიურნბერგი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| | | **8 აგვისტო** | | | | | | |
| 19.30 | 008 | შტუტგარტი-მაინცი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| 19.30 | 009 | არმინია-მიონხენგლადბახი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა. I ტური** | | | | | | |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 15.00 | 127 | დინამო-დუისბურგი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 15.00 | 128 | ესენი-აუე | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 15.00 | 129 | კარლსრუე-ბურგჰაუზენი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| | | **8 აგვისტო** | | | | | | |
| 17.00 | 130 | ფიურტი-ალენი | 1,75 | 3,3 | 4,2 | 1,14 | 1,23 | 1,84 |
| 17.00 | 131 | ობერჰაუზენი-ტრირი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 17.00 | 132 | კიოლნი-კოტბუსი | 1,75 | 3,3 | 4,2 | 1,14 | 1,23 | 1,84 |
| 17.00 | 133 | მიუნხენი-უნტერჰახინგი | 1,75 | 3,3 | 4,2 | 1,14 | 1,23 | 1,84 |
| 17.00 | 134 | ზაარბრიუკენი-ერფურტი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| | | **9 აგვისტო** | | | | | | |
| 22.15 | 135 | ალემანია-აინტრახტი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი. I ტური** | | | | | | |
| | | **6 აგვისტო** | | | | | | |
| 22.45 | 163 | ნიცა-ლიონი | 3,3 | 3,1 | 2,15 | 1,59 | 1,3 | 1,26 |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 19.15 | 164 | სტ.ეტიენი-მონაკო | 3,1 | 3,1 | 2,25 | 1,55 | 1,3 | 1,3 |
| 22.00 | 165 | ბასტია-სტრასბური | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 22.00 | 166 | კაენი-ისტრი | 1,85 | 3,1 | 4,2 | 1,15 | 1,28 | 1,78 |
| 22.00 | 167 | ლილი-ოსერი | 2,4 | 3,0 | 2,9 | 1,33 | 1,31 | 1,47 |
| 22.00 | 168 | მარსელი-ბორდო | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 22.00 | 169 | მეცი-ნანტი | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| 22.00 | 170 | რენი-პსჟ | 2,8 | 3,1 | 2,4 | 1,47 | 1,29 | 1,35 |
| 22.00 | 171 | სოშო-აიაჩო | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 22.00 | 172 | ტულუზი-ლანსი | 2,45 | 3,0 | 2,8 | 1,34 | 1,3 | 1,44 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი. I ტური** | | | | | | |
| | | **6 აგვისტო** | | | | | | |
| 22.00 | 176 | ბრესტი-ნანსი | 2,4 | 2,7 | 3,1 | 1,27 | 1,35 | 1,44 |
| 22.00 | 177 | შატორუ-ანჟე | 1,7 | 3,0 | 5,3 | 1,08 | 1,28 | 1,91 |
| 22.00 | 178 | გენიონი-ამიენი | 2,25 | 2,7 | 3,4 | 1,22 | 1,35 | 1,5 |
| 22.00 | 179 | გრენობლი-გენგამი | 2,7 | 2,7 | 2,7 | 1,35 | 1,35 | 1,35 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 180 | ლავალი-დიჟონი | 1,75 | 2,9 | 5,0 | 1,09 | 1,29 | 1,83 |
| 22.00 | 181 | ლე მანი-კლერმონი | 1,65 | 3,0 | 6,0 | 1,06 | 1,29 | 2 |
| 22.00 | 182 | რეიმსი-კრეტეი | 1,9 | 2,9 | 4,2 | 1,14 | 1,3 | 1,71 |
| 22.00 | 183 | სედანი-ლორიანი | 2,1 | 2,6 | 4,0 | 1,16 | 1,37 | 1,57 |
| | | **8 აგვისტო** | | | | | | |
| 21.30 | 184 | მონპელიე-ტრუა | 1,75 | 2,9 | 5,0 | 1,09 | 1,29 | 1,83 |
| | | **9 აგვისტო** | | | | | | |
| 22.30 | 185 | ლე ავრი-ნიორი | 1,75 | 2,8 | 5,3 | 1,07 | 1,31 | 1,83 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი. I ტური** | | | | | | |
| | | **6 აგვისტო** | | | | | | |
| 22.30 | 189 | მუსკრონი-ანდერლეხტი | 4,0 | 3,3 | 1,8 | 1,8 | 1,24 | 1,16 |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 20.00 | 190 | ბევერენი-ბრიუგე | 4,6 | 3,4 | 1,7 | 1,95 | 1,24 | 1,13 |
| 22.00 | 191 | სტ.ტრუიდენი-მონსი | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |
| 22.00 | 192 | ბრიუსელი-გენკი | 3,4 | 3,2 | 2,05 | 1,64 | 1,27 | 1,24 |
| 22.00 | 193 | სერკლი-ლოკერენი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 22.00 | 194 | გენტი-ბეერსხოტი | 1,9 | 3,1 | 4,0 | 1,17 | 1,28 | 1,74 |
| 22.00 | 195 | ლიერსი-სტანდარდი | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| | | **8 აგვისტო** | | | | | | |
| 17.00 | 196 | ოსტენდე-ვესტერლო | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 17.00 | 197 | შარლერუა-ლუვიე | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა. IV ტური** | | | | | | |
| | | **6 აგვისტო** | | | | | | |
| 22.30 | 202 | გრაცერი-შტურმი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 21.30 | 201 | ადმირა-მატერსბურგი | 1,9 | 3,3 | 3,5 | 1,2 | 1,23 | 1,69 |
| 21.30 | 203 | პაშინგი-აუსტრია | 2,6 | 3,1 | 2,45 | 1,41 | 1,26 | 1,36 |
| 21.30 | 204 | რაპიდი-ზალცბურგი | 1,5 | 3,6 | 6,0 | 1,05 | 1,2 | 2,25 |
| | | **8 აგვისტო** | | | | | | |
| 21.30 | 205 | ტიროლი-ბრეგენცი | 1,65 | 3,4 | 4,8 | 1,11 | 1,22 | 1,99 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა. IV ტური** | | | | | | |
| | | **6 აგვისტო** | | | | | | |
| 21.30 | 222 | ბაზელი-ციურიხი | 1,4 | 4,0 | 7,0 | 1,03 | 1,16 | 2,54 |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 19.00 | 223 | თუნი-იანგ ბოიზი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 21.30 | 224 | სტ.გალენი-ქსამაქსი | 1,9 | 3,3 | 3,5 | 1,2 | 1,23 | 1,69 |
| 21.30 | 225 | აარაუ-სერვეტი | 2,45 | 3,2 | 2,5 | 1,38 | 1,23 | 1,4 |
| | | **8 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 226 | გრასჰოპერი-შაფჰაუზენი | 1,45 | 3,8 | 6,5 | 1,04 | 1,18 | 2,39 |
| | | **დანია. სუპერლიგა. III ტური** | | | | | | |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 19.00 | 241 | ვიბორგი-კოპენჰაგენი | 3,8 | 3,3 | 1,8 | 1,76 | 1,22 | 1,16 |
| | | **8 აგვისტო** | | | | | | |
| 17.00 | 242 | ესბიერგი-მიდტიულანდი | 2,05 | 3,2 | 3,3 | 1,24 | 1,26 | 1,62 |
| 17.00 | 243 | ნორდსიელანდი-სილკებორგი | 2,25 | 3,2 | 2,9 | 1,32 | 1,26 | 1,52 |
| 17.00 | 244 | ჰერფიოლგე-ოლბორგი | 3,3 | 3,2 | 2,05 | 1,62 | 1,26 | 1,24 |
| 17.00 | 245 | ოდენსე-რანდერსი | 1,35 | 4,2 | 7,5 | 1,02 | 1,14 | 2,69 |
| 19.35 | 246 | ორჰუსი-ბრიონდბიუ | 3,8 | 3,2 | 1,85 | 1,73 | 1,24 | 1,17 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა. XV ტური** | | | | | | |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 261 | იურგორდენი-ლანდსკრონა | 1,65 | 3,4 | 4,8 | 1,11 | 1,22 | 1,99 |
| | | **8 აგვისტო** | | | | | | |
| 19.00 | 262 | ჰამარბი-იორებრო | 1,55 | 3,5 | 5,6 | 1,07 | 1,21 | 2,15 |
| 19.00 | 263 | ჰელსინგბორგი-ელფსბორგი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| | | **9 აგვისტო** | | | | | | |
| 21.00 | 264 | ჰალმსტადი-აიკ | 1,5 | 3,6 | 6,0 | 1,05 | 1,2 | 2,25 |
| 21.00 | 265 | სუნდსვალი-კალმარი | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,25 | 1,28 | 1,59 |
| 21.00 | 266 | მალმიო-ტრელებორგი | 1,3 | 4,2 | 9,0 | 1 | 1,13 | 2,86 |
| 22.00 | 267 | გიოტებორგი-იორგრიტე | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა. XVII ტური** | | | | | | |
| | | **8 აგვისტო** | | | | | | |
| 20.00 | 282 | ჰამარი-ბოდიო გლიმტი | 2,0 | 3,3 | 3,3 | 1,24 | 1,24 | 1,65 |
| 20.00 | 283 | სოგნდალი-ლინი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 20.00 | 284 | ვოლერენგა-ფრედრიკსტადი | 1,5 | 3,6 | 6,0 | 1,05 | 1,2 | 2,25 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 285 | რუსენბორგი-ლილესტრიომი | 1,5 | 3,6 | 6,0 | 1,05 | 1,2 | 2,25 |
| 20.00 | 286 | ტრომსიო-სტაბეკი | 1,6 | 3,5 | 5,0 | 1,09 | 1,21 | 2,05 |
| 22.15 | 287 | ოდ გრენლანდი-ბრანი | 2,05 | 3,2 | 3,3 | 1,24 | 1,26 | 1,62 |
| | | **9 აგვისტო** | | | | | | |
| 21.00 | 288 | მოლდე-ვიკინგი | 2,25 | 3,2 | 2,9 | 1,32 | 1,26 | 1,52 |
| | | **ისლანდია. პრემიერ დივიზიონი. XIII ტური** | | | | | | |
| | | **8 აგვისტო** | | | | | | |
| 21.00 | 312 | რეიკიავიკი-ვესტმანაეიარი | 2,05 | 3,1 | 3,2 | 1,23 | 1,24 | 1,57 |
| 22.00 | 313 | კეფლავიკი-ფილკირი | 2,45 | 3,0 | 2,5 | 1,34 | 1,23 | 1,36 |
| 22.00 | 314 | აკურეირი-აკრანესი | 2,8 | 3,1 | 2,25 | 1,47 | 1,24 | 1,3 |
| 22.00 | 315 | ჰაფნარფიორდური-ვიკინგური | 1,6 | 3,3 | 5,0 | 1,07 | 1,21 | 1,98 |
| | | **9 აგვისტო** | | | | | | |
| 23.15 | 316 | ფრამი-გრინდავიკი | 2,2 | 3,1 | 2,9 | 1,28 | 1,25 | 1,49 |
| | | **თურქეთი. სუპერლიგა. I ტური** | | | | | | |
| | | **6 აგვისტო** | | | | | | |
| 21.00 | 326 | რიზე-ფენერბაჰჩე | 6,0 | 3,8 | 1,45 | 2,32 | 1,16 | 1,04 |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 19.00 | 327 | გენჩლერბირლიგი-საკარია | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| 20.00 | 328 | კაისერი-ტრაბზონი | 4,2 | 3,4 | 1,7 | 1,87 | 1,21 | 1,13 |
| 20.00 | 329 | დენიზლი-გაზიანთეფი | 2,25 | 3,2 | 2,8 | 1,32 | 1,24 | 1,49 |
| 21.00 | 330 | მალათია-ბეშიქთაში | 3,1 | 3,2 | 2,1 | 1,57 | 1,25 | 1,26 |
| | | **8 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 331 | ისთანბული-დიარბაქირი | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,52 |
| 18.00 | 332 | სებათი-ანკარა | 2,1 | 3,2 | 3,1 | 1,26 | 1,25 | 1,57 |
| 20.00 | 333 | გალათასარაი-კონია | 1,3 | 4,2 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,75 |
| 20.00 | 334 | სამსუნი-ანკარაგიუჯიუ | 1,85 | 3,3 | 3,5 | 1,18 | 1,21 | 1,69 |
| | | **ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა. I ტური** | | | | | | |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 16.25 | 344 | ბანიკი-ტეპლიცე | 1,45 | 3,8 | 6,0 | 1,04 | 1,16 | 2,32 |
| 19.00 | 345 | სპარტა-სლოვაცკო | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |
| 22.00 | 346 | ზლინი-სლავია | 2,45 | 3,0 | 2,6 | 1,34 | 1,26 | 1.39 |
| 22.00 | 347 | სიგმა-ბუდეიოვიცე | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 22.00 | 348 | ბრნო-დრნოვიცე | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |
| 22.00 | 349 | ლიბერეცი-ბლშანი | 1,45 | 3,8 | 6,0 | 1,04 | 1,16 | 2,32 |
| | | **8 აგვისტო** | | | | | | |
| 19.00 | 350 | პრჟიბრამი-ოპავა | 1,6 | 3,5 | 4,8 | 1,09 | 1,2 | 2,02 |
| | | **9 აგვისტო** | | | | | | |
| 18.40 | 351 | ბოლესლავი-იაბლონეცი | 2,35 | 3,0 | 2,8 | 1,31 | 1,27 | 1,44 |
| | | **ინგლისი. სუპერთასი** | | | | | | |
| | | **8 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 456 | არსენალი-მანჩესტერი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |


CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ისარგებლეთ
კროკოს ახალი
მომსახურებით

CROCO
BOOKMAKERS

ტელკრედიტი
TELCREDITI

10
42 00 24
+%

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5001 | ვერდერი-შალკე | 2,45 | 2,1 | 4,0 | 1,13 | 1,51 | 1,37 |
| 5002 | ფრაიბურგი-ჰანზა | 2,45 | 2,05 | 4,2 | 1,11 | 1,54 | 1,37 |
| 5003 | ჰერტა-ბოხუმი | 2,25 | 2,1 | 4,8 | 1,08 | 1,53 | 1,46 |
| 5004 | ჰამბურგი-ბაიერნი | 4,4 | 2,05 | 2,4 | 1,39 | 1,55 | 1,1 |
| 5005 | დორტმუნდი-ვოლფსბურგი | 1,85 | 2,25 | 6,5 | 1,01 | 1,44 | 1,67 |
| 5006 | ლევერკუზენი-ჰანოვერი | 1,85 | 2,3 | 6,0 | 1,02 | 1,41 | 1,66 |
| 5007 | კაიზერსლაუტერნი-ნიურნბერგი | 2,25 | 2,1 | 4,8 | 1,08 | 1,53 | 1,46 |
| 5008 | შტუტგარტი-მაინცი | 1,65 | 2,6 | 7,0 | [illegible] | 1,33 | 1,8 |
| 5009 | არმინია-მიონხენგლადბახი | 2,7 | 2,05 | 3,6 | 1,16 | 1,54 | 1,3 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5401 | ვერდერი-შალკე | 1,75 | 2,1 |
| 5402 | ფრაიბურგი-ჰანზა | 1,75 | 2,1 |
| 5403 | ჰერტა-ბოხუმი | 1,6 | 2,4 |
| 5404 | ჰამბურგი-ბაიერნი | 2,1 | 1,75 |
| 5405 | დორტმუნდი-ვოლფსბურგი | 1,4 | 3,0 |
| 5406 | ლევერკუზენი-ჰანოვერი | 1,4 | 3,0 |
| 5407 | კაიზერსლაუტერნი-ნიურნბერგი | 1,6 | 2,4 |
| 5408 | შტუტგარტი-მაინცი | 1,35 | 3,2 |
| 5409 | არმინია-მიონხენგლადბახი | 1,85 | 1,95 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5101 | ვერდერი-შალკე | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5102 | ფრაიბურგი-ჰანზა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5103 | ჰერტა-ბოხუმი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5104 | ჰამბურგი-ბაიერნი | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,0 |
| 5105 | დორტმუნდი-ვოლფსბურგი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,8 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 5106 | ლევერკუზენი-ჰანოვერი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,8 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 5107 | კაიზერსლაუტერნი-ნიურნბერგი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,6 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5108 | შტუტგარტი-მაინცი | 1,8 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 12,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 5109 | არმინია-მიონხენგლადბახი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,6 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5501 | ვერდერი-შალკე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5502 | ფრაიბურგი-ჰანზა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5503 | ჰერტა-ბოხუმი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5504 | ჰამბურგი-ბაიერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5505 | დორტმუნდი-ვოლფსბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5506 | ლევერკუზენი-ჰანოვერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5507 | კაიზერსლაუტერნი-ნიურნბერგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5508 | შტუტგარტი-მაინცი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5509 | არმინია-მიონხენგლადბახი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5301 | ვერდერი-შალკე | 1,6 | 2,0 |
| 5302 | ფრაიბურგი-ჰანზა | 1,65 | 1,95 |
| 5303 | ჰერტა-ბოხუმი | 1,65 | 1,95 |
| 5304 | ჰამბურგი-ბაიერნი | 1,6 | 2,0 |
| 5305 | დორტმუნდი-ვოლფსბურგი | 1,65 | 1,95 |
| 5306 | ლევერკუზენი-ჰანოვერი | 1,65 | 1,95 |
| 5307 | კაიზერსლაუტერნი-ნიურნბერგი | 1,65 | 1,95 |
| 5308 | შტუტგარტი-მაინცი | 1,7 | 1,9 |
| 5309 | არმინია-მიონხენგლადბახი | 1,6 | 2,0 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5201 | ვერდერი-შალკე | 2,0 | 1,6 |
| 5202 | ფრაიბურგი-ჰანზა | 1,95 | 1,65 |
| 5203 | ჰერტა-ბოხუმი | 1,95 | 1,65 |
| 5204 | ჰამბურგი-ბაიერნი | 1,95 | 1,65 |
| 5205 | დორტმუნდი-ვოლფსბურგი | 2,1 | 1,55 |
| 5206 | ლევერკუზენი-ჰანოვერი | 2,1 | 1,55 |
| 5207 | კაიზერსლაუტერნი-ნიურნბერგი | 1,9 | 1,7 |
| 5208 | შტუტგარტი-მაინცი | 2,0 | 1,6 |
| 5209 | არმინია-მიონხენგლადბახი | 1,95 | 1,65 |

CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური" ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

ეროვნული ბიბლიოთეკა





ბეგი დარჩია

# დარჩიას რჩეულები არ მარჩიელობენ

**ფიცი დადეს**, საქართველოს პატრიარქმაც დალოცა, ქვეყნის პრეზიდენტმაც სტიმული მისცა –– მოკლედ, თავისებური „დოპინგი“ მიღებულია და რაღა დარჩა 13 აგვისტომდე. ქართველი ოლიმპიელები დასკვნით მზადებას შეუდგნენ. ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა ბოლოსწინა შეკრება დაბა შეკვეთილში გაიარეს, დღეიდან ფალავანთა კლუბში დაიწყებენ ვარჯიშს, ხოლო 9 აგვისტოდან ისევ შეკვეთილში გააგრძელებენ საათენო მზადებას. შეგახსენებთ, რომ საქართველოს დელეგაციიდან ყველაზე გვიან (20 აგვისტოს) სწორედ მოჭიდავეები ჩავლენ საბერძნეთში, რადგანაც ისინი ხალიჩაზე ოლიმპიადის ბოლო დღეებში გავლენ.

ქართველ ბერძენ-რომაელთა თავკაცი ბეგი დარჩია მზადებით კმაყოფილია, თუმც მეტოქეებსა და შანსებზე არ ლაპარაკობს — „შეკვეთილში ბიჭები თავაუღებლად ვარჯიშობდნენ. ერთადერთი, რაც გულს მტკენდა, ზოგიერთი მათგანის მიკროტრავმა იყო, მაგრამ ახლა ყველაფერი რიგზეა და, შეიძლება ითქვას, ოლიმპიადისთვის მზად ვართ.“

კონკურენტების პლუს-მინუსებზე ლაპარკს საქართველოს ნაკრების წამყვანი ფალავნებიც ერიდებიან — ასე გაგვაფრთხილესო.

რამაზ ნოზაძე (96კგ): „შეკვეთილში როგორც ფიზიკურ მომზადებაზე, ისე ტექნიკატაქტიკაზე გამახვილდა ყურადღება. ღმერთის წყალობით, თავს მშვენივრად ვგრძნობ და ბიჭებიც ჯანზე არიან. ჩემს წონაში იმდენად დიდი კონკურენციაა, რომ აშკარა ფავორიტს ვერავინ დაასახელებს. ასე რომ, ნამდვილად არ ვმარჩიელობ, ვის გვარგუნებს კენჭისყრა და ვის არა. თუნდაც იმ ეგვიპტელთან შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე წაგებამ ბევრი რამ მასწავლა. მიზანი კი, რა თქმა უნდა, მედლის მოპოვებაა. ნებისმიერი სინჯის მედალზე თანახმა ვარ.“

მანუჩარ კვირკველია (66კგ): „იდეალურად ნაღდად ვერ ვემზადები. წელის ტრავმა გამირთულდა, ტკივილები მაქვს, მაგრამ წესით, ამ ორ კვირაში სავსებით უნდა გამოვჯანმრთელდე. კონკურენტებზე კი მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ოლიმპიადაზე მისაღები და მიუღებელი მეტოქე არ არსებობს. რა თქმა უნდა, ფავორიტები ჩემს წონაშიც არიან (იგივე თურქი თურქოღლუ), მაგრამ ოდნავი მოდუნება და მედლებზე ფიქრი დამთავრებულია.“

ილია ნანობაშვილი



მანუჩარ კვირკველია

ათენი 2004

*აშშ-ს არმია ათენში, ოლიმპიურ თამაშებზე მსროლელთა ელიტურ ქვედანაყოფს აგზავნის. თითქოს ისეთი არაფერი ხდება, ბერძნებს ხომ მრავალი სახელმწიფო ეხმარება ოლიმპიადის უსაფრთხოებისთვის ზრუნვაში, მაგრამ საქმეც ისაა, რომ ამ ჯარისკაცებს უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან არანაირი კავშირი არა აქვთ. ისინი, თამაშებში მიიღებენ მონაწილეობას. შაშხანებით, პისტოლეტებითა და სხვა ცეცხლსასროლი იარაღით ხელდამშვენებული მეომრები ორი კვირით სპორტსმენებად გარდაისახებიან*

# რემბო ოლიმპიადაზე

## ამერიკელები ათენში პროფესიონალ ჯარისკაცებს აგზავნიან

ამერიკელებს ადრეც გაუგზავნიათ თავიანთი სამხედროები ოლიმპიადებზე, მაგრამ წლეულს მათი რიცხვი სარეკორდოა.

ამ ამბავს კრიტიკოსებიც გამოუჩნდნენ. აბა, რა წესია მაგათი მონაწილეობა, ჩვეულებრივმა მოყვარულმა მსროლელმა პროფესიონალ სნაიპერს სროლაში როგორ უნდა აჯობოსო — აცხადებენ ისინი.

ამერიკელებიც არ უარყოფენ, რომ ამ ფაქტორის გამო სხვა ქვეყნებთან უპირატესობა ექნებათ, მაგრამ სულაც არ მიაჩნიათ ეს უსამართლობად. პრინციპში, მართლებიც არიან. არც სხვა ქვეყნებისთვის დაუშლია ვინმეს სამხედროების წაყვანა. მაგალითად, ჩინეთის დელეგაციაშიც იქნება რამდენიმე პროფესიონალი მსროლელი.

სერჟანტმა ჯეიმს „ტოდ“ გრივსმა განაცხადა: „თუკი რამე ჯილდო მოვიგე, აუცილებლად ერაყში მებრძოლ ჩვენს ბიჭებს მივუძღვნი.“

ერაყი კი ცალკე თემაა. საბერძნეთი ერთ-ერთი იმ ქვეყანათაგანია, რომელიც აქტიურად გამოდის ამერიკის ერაყში გატარებული პოლიტიკის წინააღმდეგ.

ალბათ ამიტომაც ატყდა ასეთი აჟიოტაჟი ამერიკელ ჯარისკაცთა ათენში ასპარეზობასთან დაკავშირებით.

ლადო ფულუქიძე



# ატომურ ბომბს მოვიგერიებთ!

## ამბობენ ბერძნები და ხულიგნებს ექებენ



ბერძენი წესრიგისდამცავები უსაფრთოებაზე მილიონებს ხარჯავენ და ხულიგანი ანარქისტებისთვის ვერ მოუვლიათ

**საბერძნეთში** ოლიმპიადის უსაფრთხოებისათვის დახარჯულმა თანხებმა რომ ყველა რეკორდი დაამხო, ამაზე არაერთხელ დაგვიწერია. სამხედროთა და პოლიციელთა რიცხვიც რომ შთამბეჭდავია, ესეც მოგეხსენებათ — ბერძნები იმასაც კი ამბობდნენ, თუ საჭირო გახდა, ბირთვულ შეტევასაც მოვიგერიებთო.

ტერორისტების რა გითხრათ, მაგრამ ათენიდან 6 მილის მოშორებით, ქალაქ მეტამორფოზთან მდებარე ელექტროსადგურს კი ხულიგნები დაესხნენ თავს. სადგურთან ახლოს მდებარე შენობის ერთ-ერთ ოთახში ბოროტმოქმედებმა ფანჯრიდან თვითნაკეთი ბომბი შეაგდეს. შთამბეჭდავი ნგრევა გამოუწვევია გაზის ბალონისგანს კუსტარულად შექმნილ მოწყობილობას, მაგრამ, საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა.

სამართალდამცავებმა აღნიშნეს, ეგენი ანარქისტები არიან, სულ ეგრე აფეთქებენ რაღაც-რაღაცეებს და ნუ გეშინიათო. მოდი და, ნუ შეგეშინდება. შე დალოცვილო, ამბობ, ბირთვულ შეტევას მოვიგერიებო და გაზის ბალონების ამფეთქებელი ხულიგანი ანარქისტებისთვის ვერ მოგივლია?

ლადო ფულუქიძე

# რა ჟურნალისტები?

## ბელარუს ჩინოსანს ათენში არ უშვებენ

**ბელარუსის** სპორტის მინისტრი იური სივაკოვი საკუთარი ქვეყნის ნაკრებთან ერთად აპირებდა ათენის ოლიმპიადაზე გამგზავრებას, თუმც მისი გეგმა ეგებ ვერც განხორციელდეს, რადგანაც ევროსაბჭო მას საკმაოდ მძიმე ბრალდებებს უყენებს. სივაკოვი ეჭვმიტანილია ადამიანის უფლებათა დარღვევაში. მას, არც მეტი, არც ნაკლები, რამდენიმე ჟურნალისტის გაქრობაში ედება ბრალი. ბელარუსი ჟურნალისტები, რომლებიც ბედავენ და ქვეყნის პრეზიდენტ ალექსანდრ ლუკაშენკოს წინააღმდეგ ილაშქრებენ, მართლაც ხშირად უჩინარდებიან ამ ქვეყანაში.

ევროკავშირში ჰოლანდიის წარმომადგენელმა იუპ ნიისენმა თქვა, რომ სივაკოვის და კიდევ რამდენიმე ბელარუსი ჩინოვნიკის ათენში ყოფნა არაა სასურველი, რადგანაც ეს პირები ევროსაბჭოს მიერ „შავ სიაში“ არიან შეყვანილებიო. ნიისენის თქმით, ევროკავშირის 25 ქვეყნის წარმომადგენლები პარასკევს მიიღებენ გადაწყვეტილებას, დაუშვან თუ არა ეჭვმიტანილების ათენში გამგზავრება. თუმცა დღესვე შეიძლება ითქვას, რომ სპორტის მინისტრსა და მის რამდენიმე ხელქვეითს საბერძნეთი არ მიიღებს.

ბელარუსის საპარლამენტო კომიის თავმჯდომარემ უცხოეთთან ურთიერთობისა და უსაფრთხოების დარგში, ნიკოლაი ჩერგინეცმა აღშფოთება ვერ დამალა და ევროსაბჭოს მოხსენებას ამით ქვეყნის წინააღმდეგ ინტრიგა უწოდა.

„საწყენია, რომ ოლიმპიადის სამშობლოში დაივიწყეს დემოკრატიული პრინციპები“ — განაცხადა „ღრმად დემოკრატიული“ ქვეყნის წარმომადგენელმა ჩერგინეცმა.



ლუკაშენკომ კი ... რა ჟურნალისტები, რის გაუჩინარებაო.

ლადო ფულუქიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფერეროს არავინ ეფერება

მასტერსის სერია
ცინცინატი. ჰარდი
საპრიზო 2,45 მილიონი €

**მეორე წრე**

**ენდი როდიკი** (2, აშშ) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 6:4, 6:4; **კარლოს მოია** (4, ესპანეთი) — ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) 6:4, 4:6, 6:4; **ტიმ ჰენმანი** (5, ბრიტანეთი) — ჰიშამ არაზი (მაროკო) 4:6, 6:3, 7:5; **ტომი რობრედო** (ესპანეთი) — ხუან კარლოს ფერერო (7, ესპანეთი) 7:6 (7:5), 4:6, 6:4; **გრეგ რუზედსკი** (ბრიტანეთი) — გასტონ გაუდიო (9, არგენტინა) 4:6, 7:6 (7:3), 6:4; **ლეიტონ ჰიუიტი** (10, ავსტრალია) — გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) 6:3, 6:4; **ანდრე აგასი** (11, აშშ) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 6:1, 3:6, 6:1; **მარატ საფინი** (14, რუსეთი) — ჯეფ მორისონი (აშშ) 6:4, 6:4; **პარადორნ შრიჩაფანი** (15, ტაილანდი) — სხენგ შალკენი (ჰოლანდია) 6:3, 6:4; **ხუან იგნასიო ჩელა** (17, არგენტინა) — ფერნანდო გონსალესი (ჩილე) 2:6, 6:3, 6:2; **იონას ბიორკმანი** (შვედეთი) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:7 (6:8), 6:3, 6:3; **ტომი ჰაასი** (გერმანია) — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 6:3, 6:3; **ივო კარლოვიჩი** (ხორვატია) — ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) 7:6 (9:7), 6:4

ნიკოლას კიფერს ენდი როდიკი უკვე ზედიზედ მესამე კვირაა, ამარცხებს. ეს ამბავი ინდიანაპოლისურ ფინალში დაიწყო, მერე ტორონტოულ ნახევარფინალში გაგრძელდა და მეათე დღის თავზე აგერ, ცინცინატურ მეორე წრეში მოგვირისტდა. თუმცა შეიძლება ჯერ არც არაფერი მოგვირისტებულა და ამ ბიჭებმა ცალკორტა გართობა ჯერ ათენის ოლიმპიადაზე, მერე კი აშშ-ის ღია პირველობაზეც განაგრძონ.

ენდიბოი თავს ოდნავ დაღლილად გრძნობდა, მაგრამ როცა შეატყო, მეტოქე მის წინააღმდეგ საბუქნაოდ უკვე აპრიორი მუხლებათრთოლებული გამოსულიყო, მის მოსადრეკად საჭირო ილაჯი მაინც მოიძია.

ამასობაში კი კვლავაც ჩაუქობს ტურნირის ორგზის ჩემპიონი, 34 წლის არმენოამერიკელი ანდრე აგასი, ვინაც ავსტრალიის ორი წლინანდელ ჩემპიონ ტომას იოჰანსონს აჯობა და ნამატჩევს ხარობდა — ტურნირზე ორი მატჩის მოგება ჩემთვის „სალოლ“ რამეაო. და არც გაემტყუნებოდა, რაკიღა მარტის შემდეგ ზედიზედ ორ შეხვედრაში მან მხოლოდ მეორეჯერ იმარჯვა.

კისკასად გაირჯა და გუსტავო კუერტენს მეოთხე საკარიერო დაპირისპირებაში უკვე მესამე მარცხი აგემა ლეიტონ ჰიუიტმა. ავსტრალიელს უკვე 17 თვეა, არც ერთ მასტერსფინალში აღარ უთამაშია და, მის ამჟამინდელი ფორმის სიბასრეს თუ გავითვალისწინებთ, ამდენხნიანი ნავსის გასატეხად ახლა საუკეთესო შანსი უნდა ჰქონდეს.

უმთავრეს მიზნად კი — აგასისა არ იყოს — ლეიტონიც აშშ-ის ღია პირველობაზე „რაღაცის მიღწევას“ ისახავს. შეგახსენებთ, რომ ორიდან პირველი სლემტიტული 23 წლის ოზბიჭმა 2001 წელს სწორედ ფლეშინგ მედოუზზე მოინაგრა...

სხვაფრივ — პირველ წრეში მაროკოელი ელ აინაუის ძლევის შემდეგ ტიმ ჰენმანს მეორეში მეორე სახელიანი მაროკოელის, ჰიშამ არაზის ძლევა მოუხდა. კვლავ დამაჯერებლად ითამაშა მარატ საფინმაც, თუმცა ჯეფ მორისონი ნაღდად არ არის ის მეჩოგნე, ვისთან მოგების მიხედვითაც ვინგინდავინ მოთამაშის საამმომენტო ფორმაზე უნდა მსჯელობდნენ.

ისევ წაფორხილდა ხუან კარლოს ფერერო. თვისტომ ტომი რობრედოსთან ორსაათიანი და 48-წუთიანი განდაგანის შედეგად დათმო და 17 საამსეზონო მოგების წილ უკვე მე-11 მარცხი ჩაირიცხა. ცნობისთვის: შარშანდელი როლანგაროსობის ჩემპიონს წლეულს მხოლოდ როტერდამობის ფინალში თამაში თუ დაეკვეხება!

ფეროროს მეორე, ამ სეზონში უფრო წარმატებით მოჩოგნავე თვისტომმა კარლოს მოიამ კი ხორვატ ივან ლიუბიჩიჩის 23 ეისს მამაცურად გაუძლო, მასთან საკარიერო ბალანსი გაასამითსამა და მომდევნო წრეში გამოცდილ უეინ ართურსს შეებმის. ტომი ჰაასმა კი სომეხ სარგსიანის დამორჩილებით ნაყოფიერად განაგრძო სამაგარსაფრო კორტებზე მოღვაწეობა.

**ლევან ძელაურაძე**



ხუან კარლოს ფერეროს ჩოგანი პირს არ უხსნის



## ფედერერი უკვე მასტერია

**ამქრის პირველოსან** როჯერ ფედერერს წლეულს მოხვეჭილი რვა ტიტულით იმდენი საჩემპიონთარბოლო ქულა დაუგროვდა, რომ წლის ბოლოს გასამართ რვაკაცა ჰიუსტონურ მასტერსთასზე ადგილი უკვე გარანტირებული აქვს.

საამდღეოდ როჯერის ანგარიშზე 881 ქულა ირიცხება — 329-ით მეტი, ვიდრე ენდი როდიკისიაზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წლის ბოლომდე რაც უნდა მოხდეს, ფედერერი მასტერსთასზე აუცილებლად გამოვა.

მასტერსთასის 14-წლოვან ისტორიაში ეს პირველად მოხდა, რომელიმე მეჩოგნემ მასზე მოსახვედრი ადგილი ასენაადრევად რომ დაიბევა.

ხოლო ვინმეს ამ ტურნირის სახელი თუ ეუცხოვება, საგანგებოდ მისთვის მოვიგონოთ: მასტერსთასი ეს წლის შემაჯამებელი რვაკაცა ტურნირია, რომელზე გამოსვლის პატივიც ჩემპიონთა რბოლის პირველ შვიდადგილოსანსა და დიდი მუზარადის ტურნირზე გამარჯვებულთაგან რბოლაში ყველაზე დაწინაურებულს ერგება.

წლეულს, ისევე როგორც შარშან, ტურნირი ჰიუსტონში, 13-დან 21 ნოემბრის ჩათვლით გაიმართება.



# გერმანიის დაპყრობაც დიდი საქმე გამხდარა ამერიკას ესეც უხარია

**ყოველი თამაში** საფიქრალს უმატებს ამერიკელთა შუბლშეჭმუხნულ თავკაც ლარი ბრაუნს. ერთი დღის წინ იტალიასთან 17 ქულით შერცხვენილმა მისმა ბიჭებმა ვერც ტურნირის მასპინძელ გერმანიასთან გაისეირნეს და ძლივს წაართვეს გამარჯვება დირკ ნოვიცკის რაზმს და მათ 18 ათას კიოლნელ მხარდამჯერს. არადა, გერმანია ვერც მოხვდა ათენში, სადაც, როგორც ჩანს, ოცნების გუნდს მართლა საოცნებო ექნება ზედიზედ მეოთხე ოლიმპიური ოქრო.

გერმანიასთანაც ისევ იმ ბიჭებმა ივარგეს, რომლებიც იტალიასთან რაღაცით მაინც ჰგავდნენ ნბა-ს ვარსკვლავებს — ტიმ დანკანმა 19 ქულა გაახერხა, კარმელო ენტონიმ — 16, ალენ აივერსონმა კი 15. მაგრამ ყველა ამერიკელს სჯობდა გერმანელთა გოლიათი ლიდერი დირკ ნოვიცკი, ვისი 32 ქულა და 12 მოხსნა გვარიანად უშლიდა ხელს ამერიკლებს, თავი კიოლნის ფიცარნაგის სრულ ბატონ-პატრონებად ეგრძნოთ.

დირკ ნოვიცკის სამქულიანმა ნბა-ელები მარცხის თუ არა, ოვერტაიმის საფრთხეში ჩააგდო, როცა ბოლო წუთებზე 77:77 გაათანაბრა, მაგრამ ლარი ბრაუნის შეგირდები ოდესღაც „ფილადელფიაში“ ბრაუნის უპირველესმა შეგირდმა ალენ აივერსონმა გადაარჩინა.

ამერიკამ 80:77 მოიგო და უნდა გენახათ, ოლიმპიადაზე ვერმოხვედრილ გუნდთან გამარჯვება როგორ გაიხარეს კალათბურთის „ჯადოქრებმა“. აივერსონის გასროლა იყო და ცოტა ხანში თამაშიც დამთავრდა. ამერიკელები მათ გადამრჩენს შემოეხვივნენ და ჯერ ლამის ჰაერში შეისროლეს, მერე კი ზედ დაახტნენ და სიხარულით ჩაეხვივნენ. ხოლო ტიმ დანკანი ასე ბედნიერი, მგონი, „სან ანტონიოში“ გაჩემპიონებისას არ ყოფილა, თითი დარბაზის ჭერს მიაბჯინა და დაიძახა — „ჩვენ პირველები ვართ!“

კი, როგორ არა, პირველები არიან! აგერ, ბურთი და ათენის ძლივსაშენებული დარბაზი და იქ სერბებს, არგენტინელებსა და ლიტველებს დაუმტკიცონ თავიანთი აღმატება. სხვათა შორის, მომდევნო სპარინგ-მატჩი სწორედ სერბებთან უწევთ, რომელთაც პრედრაგ სტოიაკოვიჩი არ ეყოლებათ.

**ზოტე ყორშია**



# ბატონის ზღაპრები

„მინდა, ემერსონ ფიტიპალდის რეკორდი დავამხო და ფორმულა 1-ის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი გავხდე." 18 წლის ბიჭის ამ ბაქიბუქზე ირონიულად არავის ჩაუცინია, ალბათ იმიტომ, რომ თანატოლებისგან გამორჩეული სამძღოლო ნიჭიერება კოჭებში ეტყობოდა. ზოგმა უკვე მაშინვე შეადარა ინგლისელი ვუნდერკინდი ბრაზილიელ „ჯადოქარ" აირტონ სენას და ბრწყინვალე მომავალიც უწინასწარმეტყველა.

ჯენსონ ბატონი ქარიშხალივით შეიჭრა ავტოარენაზე. დაოსტატების „სკოლა" ტრადიციულად, კარტინგით კი დაიწყო, მაგრამ ტექნიკის ათვისების ტემპები იყო არასტანდარტულად სწრაფი. გადაჯდა თუ არა კარტიდან „სერიოზულ" მანქანაზე, პირველივე წელს (1998) „ფორმულა ფორდში" დიდი ბრიტანეთის ჩემპიონი და ევროპის ვიცეჩემპიონი გახდა შთამბეჭდავი შედეგით — მოიგო შვიდი რბოლა, ათი პოული და ანგარიშზე შვიდი უსწრაფესი წრეც ჩაიწერა. შედეგად, პრესტიჟულ ჟურნალ „აუტოსპორტის" ვერსიით წლის საუკეთესო ახალგაზრდა მრბოლად დაასახელეს.

როგორი დასაწყისია?!

ჯენსონ ბატონი 24 წლის წინათ დაიბადა სომერსეტის საგრაფოს პროვინციულ ფრომში. იგი ნაბოლარაა სამი დის შემდეგ. „მე დავიბადე ბედნიერ ოჯახში, ხოლო ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მძიმე ის იყო, მშობლები რომ განქორწინდნენ. მაშინ შვიდი წლის ვიყავი. ისინი ამჟამად არ მუშაობენ და მე ყველაფერს ვილონებ, რომ ალარასოდეს მოუწიოთ შრომამ."

სკოლაში მისი საყვარელი საგანი სახვითი ხელოვნება იყო, მათემატიკას და ფრანგულს კი ვერ იტანდა. ავტოსპორტით რვა წლისა დაინტერესდა, როცა მამამ კარტი უყიდა. აღსანიშნავია, რომ ჯონს დიდი წვლილი მიუძღვის შვილის მრბოლად ჩამოყალიბებაში. ჯენსონმა მომდევნო წელს მოიგო თავისი პირველი რბოლა — „ბრიტანეთის სუპერპრიზი," სულ კი ცხრა საკარტინგო სეზონში ბლომად დაუგროვდა გამარჯვებები. იყო დიდი ბრიტანეთის, იტალიის, ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს თასის პრიზიორი, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი (1995). 1998-99 წლებში ფორმულა ფორდის და ფორმულა 3-ის მანქანებით დაჯირითობდა, მერე კი...

სამეფო რბოლების სამყაროში მოხვედრა მისთვის ზღაპარივით იყო.

## საშობაო საჩუქარი

1999 წლის ჩემპიონატში იტალიელმა ალესანდრო ძანარდიმ „უილიამსით" ისე უხეიროდ ირბოლა, რომ ქულაც ვერ მოიპოვა და გულგატეხილმა ამერიკულ „ინდიკარში" დაბრუნება გადაწყვიტა. ვაკანტურ ადგილზე მთავარ პრეტენდენტად გუნდის ტესტ-პილოტი ბრუნო ჟუნკეირა ითვლებოდა, თუმცა საჯინიბოს ბოსმა ფრენკ უილიამსმა ბატონის გამოცდაც მოინდომა და შობის წინ პირადად დაურეკა — ჯენსონი მშობლიურ სომერსეტში ძმაკაცებთან ერთად პაბში იჯდა: „ჩემმა მობილურმა დარეკა და უცნობმა ხმამ მითხრა, ფრენკ უილიამსი ვარო. არ დავიჯერე, მეგონა, ვიღაც მასხრად მიგდებდა. როცა მივხვდი, რომ მართლაც მისტერ უილიამსი იყო, გავოცდი და ცოტა დავიბენი კიდეც. მან მკითხა, ვგრძნობ თუ არა თავს ფორმულა ერთში გამოსვლისთვის მზად."

ბატონისთვის ეს ზარი ზღაპრული საშობაო საჩუქარი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთ უძლიერეს საფორმულო გუნდში გარანტირებულ მძღოლობას კი არ ნიშნავდა, არამედ მხოლოდ ვარჯიშებზე მიწვევას.

ტესტ-გამოცდა იანვარში, ტრადიციულად ესპანეთში ჩატარდა. მალე 24 იანვარიც დადგა, როცა „უილიამსს" ხალხისთვის ახალ ბოლიდთან ერთად რალფ შუმახერის მეწყვილე უნდა წარედგინა. სერ ფრენკი ჯერაც ყოყმანობდა, რის გამოც პრეზენტაციის დაწყება 40 წუთით დაგვიანდა. გუნდში უმეტესობა ბრაზილიელს უჭერდა მხარს ვარჯიშებზე უკეთესი შედეგების გამო, მაგრამ საბოლოოდ საქმე ბატონის სასარგებლოდ გადაწყდა, უმთავრესი არგუმენტი კი ის გახლდათ, რომ იგი ძალიან სწრაფად „გადაეწყო" ბოლიდის სამარცხენაფეხო მუხრუჭებზე.

„ეს წარმოუდგენელი, დაუჯერებელი გრძნობაა. ეს ბედია. ამდენი ტესტის და მოლოდინის შემდეგ უზარმაზარი შვება ვიგრძენი. ძალიან ძნელი გადმოსაცემია. ყურებში თითქოს ზარები რეკდა. გარეთ გამოვედი, მამაჩემი დავინახე და ვუთხარი — მამა, მე ფორმულის მრბოლი ვარ. ის სიხარულისგან ატირდა."

ითქვა, რომ კონტრაქტი ერთსეზონიანია (ორი წლით გაგრძელების უფლებით), ანაზღაურება კი ნახევარი მილიონი დოლარიო. ესეც ნიშანდობლივი ფაქტია — ბევრი დამწყები მრბოლი ხომ გუნდში ადგილს ყიდულობს, ანუ თავად უხდის მეპატრონეს ფულს.

## ვარსკვლავი

ფორმულა 1-ის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ბრიტანელი პილოტის დებიუტი 2000 წლის 12 მარტს შედგა — ავსტრალიის დიდი პრიზის გათამაშებისას ჯენსონ ბატონი 20 წლის და 53 დღის იყო. მსოფლიო მასშტაბით ეს მეხუთე მაჩვენებელია ახალზელანდიელების მაიკ ტაქუელის და კრის ამონის, მექსიკელ რიკარდო როდრიგესის და არგენტინელ ესტებან ტუეროს შემდეგ.







ჯენსონი და ლუიზა ოთხი წელია, ერთად არიან

ბიჭმა გაამართლა ბოსის ნდობა, უკვე თავის მეორე რბოლაში შეძლო ქულების მოპოვება და ამ მხრივაც უმრწემესი მერეკორდე შეიქნა, სულ კი 17 ეტაპზე 12 ქულა დაუგროვდა და სადებიუტო სეზონი სატრაბახო, მერვე ადგილზე დაასრულა. მაგრამ, წარმატებული ჯირითის მიუხედავად, მაინც მოუხდა გუნდიდან წასვლა. კარგა ხნით ადრე იყო ცნობილი, რომ 2001 წლისთვის „უილიამსში" რალფის მეწყვილე იქნებოდა სერ ფრენკის მიერ ჩრდილოამერიკულ „ფორმულაში" დროებით განათხოვრებული ხუან-პაბლო მონტოია.

თუმც ჯენსონი უმუშევარი არ დარჩენილა. მისმა შედეგებმა ლამის ყველა საჯინიბოს ბოსები დააინტერესა და არაერთი შეთავაზებაც მიიღო. ვარიანტების აწონ-დაწონის შემდეგ „ბენეტონი" ირჩია, გუნდი, რომელმაც 2000 წელს კონსტრუქტორთა თასზე მეოთხე ადგილი დაიკავა დიდი სამეულის (ფერარი, მაკლარენი, უილიამსი) შემდეგ და უკვე „ამოსული ვარსკვლავი" წლიური ხუთი მილიონი დოლარით მოხიბლა.

ეს მეორე ზღაპარი იყო. 20 წლის მძღოლი მთელ ბრიტანეთში მეტად პოპულარული და შეძლებული პიროვნება გახდა. მაგრამ ეს უცაბედი სახელ-სიმდიდრე თავში აუვარდა. თავის გოგონასთან, მომღერალ ლუიზა გრიფიტსთან ერთად ევროპის ბარ-კლუბებში გათენებამდე „გრიალებდა", შეიძინა ბრწყინვალე იახტა და აპარტამენტები მონტე კარლოში, ხოლო მამამისს მილიონდოლარიანი სახლი უყიდა. მოდური ჟურნალები აჭრელებული იყო ფოტოებით და ისტორიებით საპოდიუმო გარეგნობის (ცხადია, მოდას ვგულისხმობთ) პილოტზე, მისთვის არცთუ ყოველთვის სასურველი რაკურსით — „აუტოსპორტის" სეზონშემაჯამებელ ბანკეტზე ჟურნალისტებმა ჯენსონი შემთვრალი „გამოიჭირეს."

პირველი ბენეტონური სეზონი ვერც მრბოლმა „გაქაჩა" და ვერც მანქანამ. ბატონის „ავარდნას" რენოსძრავიანი ბოლიდის უხეირობაც დაერთო. ჯანკარლო ფიზიკელას რვა და ჯენსონის ორი ქულით „ბენეტონი" გუნდურ ჩათვლაში მეშვიდე საფეხურზე ჩამორდა. „ცისფერების" მეპატრონე ფლავიო ბრიატორე ცოფებს ყრიდა: „ჯენსონის პრობლემა ისაა, რომ შარშან იგი მშვენიერ მანქანაში იჯდა და შესაბამისად, არცთუ უხეირო შედეგი აჩვენა. ბრიტანულმა პრესამ მაშინვე სუპერვარსკვლავი და მომავლის ჩემპიონი შეარქვა, ბატონმაც ეს დაიჯერა. მართალია, ჩვენი მანქანა შორსაა იდეალისგან და გუნდიც ტექნიკური გადაწყობის სტადიაშია, მაგრამ ჯენსონსაც ხომ ჯერ გამოცდილება აკლია, ის კი ხშირად ცდება საქმეს და მის გარშემო ძალიან ბევრი მრჩეველიც ტრიალებს. იგი გუნდთან, ინჟინრებთან ერთად უნდა მუშაობდეს და არა ჟურნალების ფურცლებზე მოხვედრას ცდილობდეს. ამან შეიძლება წერტილი დაუსვას მის კარიერას."

კარიერა გადარჩა. პილოტის ახალმა მენეჯერმა ჯონ ბაიფილდმა იმდენი მოახერხა, რომ ემოციურ იტალიელ ბოსს თავისი კლიენტი არ მოახსნევინა და ჯენსონის „კრიზისიდან გამოყვანის პროგრამაც" შეიმუშავა. „ძველი ბატონი" წარსულს ჩაბარდა — რესტორნებისა და ღამის კლუბების ნაცვლად იგი ტრენაჟორების დარბაზში „უბერავდა". ის კი არა, თავისი 22-ე დაბადების დღე წინა წლების უამრავსტუმრიან და უზომოდ ხმაურიან კამპანიებზე გაცილებით მყუდრო გარემოში, ახლობელ-თანამშრომელთა წრეში აღნიშნა.

ერთი სიტყვით, 2002 წელს ბატონიც მოვიდა ჭკუაზე და „რენოდ" გადარქმეული განახლებული გუნდიც (ფრანგულმა ავტოგიგანტმა იტალიელ ტანსაცმლის მაგნატ ლუჩანო ბენეტონისგან საჯინიბო მთელი თავისი პერსონალ-ტექნიკით 82 მილიონ დოლარად შეისყიდა). დასერიოზულებულმა ჯენსონმა შვიდ ეტაპზე შეძლო ქულების შოვნა, სულ 14 დააგროვა და ოთხწლიან კარიერაში საუკეთესო, მეშვიდე ადგილზე გავიდა. იარნო ტრულიმ 9 ქულა წაამატა და „რენო" გუნდურ მეოთხე პოზიციას დაუბრუნდა. მაგრამ კონტრაქტი გასრულდა და ბატონ-პატრონიც ერთმანეთს დაშორდნენ.

## სეზონის გმირი

ჯენსონი მაშინვე „დაითრია" BAR-მა, ორი წლით და რვა მილიონად.

ყოვლისმცოდნე ჟურნალისტებმა უცებ გამოქექეს, რომ თურმე ბატონი და მისი ახალი შეფის, დევიდ რიჩარდსის შვილი რვა წლისანი ერთად გამოდიოდნენ საკარტინგო შეჯიბრებებში. თუმც, ცხადია, ამ გარემოებას არ უმოქმედია ჯენსონის გადასვლაზე: „მე საკმაოდ მქონდა წინადადებები და გულმოდგინე განხილვის შემდეგ სწორედ „ბარ-ი" ავირჩიე, რადგან დევიდმა გამაცნო ხანგრძლივი პროგრამის დეტალები და ამან ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა. გუნდში პროფესიული ზრდის საუკეთესო შესაძლებლობებია და იმედი მაქვს, სწორედ „ბარ-ში" გავხდები მსოფლიოს ჩემპიონი."

ჩემპიონობის რა მოგახსენოთ, მაგრამ წლეულს თავიდანვე ისეთი ტემპი აიღო, მეორე ადგილის შანსი ნამდვილად აქვს.

ბატონი სწორედ რომ ზღაპრულ სეზონს ატარებს. მანამდე ოთხ ჩემპიონატში უპოდიუმო, წლეულს უკვე შვიდჯერ(!) იყო საპრიზო სამეულში, ერთი პოულიც მოიგო, განვლილ 12 რბოლაში მხოლოდ ერთხელ ვერ შეძლო ქულების მოპოვება და სატურნირო ცხრილში მესამე საფეხურზეა სუპერფერარელების მიხაელ შუმახერის და რუბენს ბარიკელოს შემდეგ. ერთი სიტყვით, უკვე ახლავე შეიძლება ჩაითვალოს სეზონის გმირად.

რაც შეეხება ბრაზილიელ ორგზის ჩემპიონ ფიტიპალდის რეკორდს, „ემო" 1972 წელს პირველი ტრიუმფისას 25 წლის და 8 თვის იყო. ასე რომ, ოცნების ასასრულებლად ჯენსონს ერთი, საგაისო ჩემპიონატი რჩება, წლევანდელი „ოქრო" ხომ შუმის თითქმის უკვე ჯიბეში უდევს.

**გია ახალაძე**



შოთა ხაბარელის შეგირდებს ილეთების დასახვეწად რამდენიმე დღე დარჩათ



შოთა ხაბარელი და ოლიმპიური შეიდეული

# ბორჯომიდან ჰაჯიმემდე

## ძიუდოს ლიკანური დღიური

ოლიმპიურად ჩაფორმიანებული საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები ბოლო წინასაათენო შეკრებას ლიკანში, სამთავრობო აგარაკზე გადის. შოთა ხაბარელის სამწყსო თბილისში ფიცის მისაღებად სწორედ ლიკანიდან ჩამოვიდა და უკან იმავე დღეს გაბრუნდა.

ძიუდოისტების ნიჭით და ბორჯომური პირობებით თუ ვიმსჯელებთ, ათენიდან რამდენიმე მედალის და რაც მთავარია, ნანატრი ოქროს ჩამოტანის რეალური შანსი არსებობს. ოლიმპიური შვიდეულის მაქსიმალურად მოსამზადებლად ოცდაათზე მეტი სპარინგი და ამის ნახევარი პირადი მწვრთნელი თუ სპეციალისტიც ჩასულა ლიკანს.

ზღაპრულ ბუნებას და მშვიდ და სუფთა ატმოსფეროს ძიუდოისტებისადმი დამსვენებელთა კეთილგანწყობაც ემატება. ერთ კვირაში საბერძნეთში მიმავალ ბიჭებს ყველა ეხმარება. სახელიანი მნახველ-შემგულიანებლებიც ხომ ყოველ დღე სტუმრობენ. ოლიმპიური ჩემპიონი მწვრთნელიც მათ გვერდით ვარჯიშობს და ამ საქმეში საჭიდაო წონამდე თავადაც დაუკლია.

შეკრების ბოლო დღეებში ხაბარელისა და მწვრთნელთა ამალის მთავარი საფიქრალი შეგირდებისთვის ფანდების დახვეწაში დახმარებაა. თავადაც ოლიმპიურმა ჩემპიონმა თავკაცმა, ცხადია, მშვენივრად იცის, რომ ოლიმპიადა განსაკუთრებული რამაა. მასზე წარმატებაც ბევრად ძნელია, ვიდრე ევროპის თუ მსოფლიოს პირველობებზე და სხვებზე უკეთაც ხვდება, რა ხდება ამ ბიჭების გულებში — ყოველი ვარჯიშის შემდეგ ხასიათის ამმაღლებელი და ბრძოლის ჟინის შემმატებელი სიტყვებით მიმართავს საათენო გუნდს.

გუშინ შვიდეულთან ერთად გავატარეთ ერთი ჩვეულებრივი მოსამზადებელი დღე და, ალალად გეტყვით, ოპტიმიზმი გაგვიძლიერდა. აი, მოკლედ ძიუდოისტთა განრიგიც:

— გუნდი რვის ნახევარზე დგება და ბუნებაში მსუბუქად ვარჯიშობს. ეს უფრო გამამხნევებელი ვარჯიშია, ძიუდოისტთა გარდა ნებისმიერ დამსვენებელს რომ მოუხდებოდა.

— ცხრაზე უკლებლივ ყველა სასადილოშია.

— თერთმეტზე დარბაზის და დაახლოებით საათნახევარიანი ვარჯიშის დრო დგება. დამსვენებლებო მიდით, უყურეთ და ისიამოვნეთ. ძირითადი დატვირთვა, რა თქმა უნდა, ათენში წამსვლელებზე მოდის. ოლიმპიელისთვის ამა თუ იმ ილეთის დასახვეწად სპარინგები ერთმანეთს ენაცვლებიან. გუშინ ხალიჩაზე შვიდეულიდან მხოლოდ სამი — გრიგოლ მამრიკიშვილი (81კგ), ზურაბ ზვიადაური (90) და ივერი ჯიქურაული (100) გავიდნენ. მსუბუქებს — ნესტორ ხერგიანს (60), დავით მარგოშვილსა (66) და დავით ქევხიშვილს (73) მწვრთნელმა განსატვირთად დასვენების დღე მოუწყო. ნაკრების ყველაზე უმცროსი და ამავდროულად მძიმე წევრი ლაშა გუჯეჯიანი კი დილის ვარჯიშიდან მუცლის ტკივილის გამო გაანთავისუფლეს.

— ნავარჯიშევს 15-20 წუთით ყველა ოთახში იკეტება, მერე კი სადილის დროც მოდის. თავად გვაქვს კვების რაციონის შეფასების საშუალება. სუფრას არაფერი აკლია. შვიდეულის მაგიდა სხვებისგან მაინც გამორჩეულია — ხიზილალით, ზუთხითა და ხილით გაუწყვიათ.



ნესტორ ხერგიანი: წყნარი საათი დასრულდა

— სადილიდან დაბრუნებულები ცოტა ხნით დამსვენებლებში ხომ უნდა გაერიონ...

— ხუთ საათამდე წყნარი საათია. ამინდიც ძილისმომგვრელი ემთხვევა. თუ მანამდე ხვარცტი ტრიალებდა, უცებ მოიღრუბლა და კოკისპირულიც წამოვიდა.

— ხუთზე წყნარი საათიც რჩება და წვიმაც. დარბაზში გუჯეჯიანიც შემოდის და ბოლომდეც იხარჯება, ხოლო დასვენებული სამეული თანაგუნდელთა გარჯას დამსვენებლებთან ერთად გარედან უცქერს. ვარჯიში რჩება და დასვენების უფლებას ხაბარელი მძიმეებსაც აძლევს, თუმც მანამდე საყოველთაო ვახშამია.

— ძილისპირულამდე დარჩენილი ორიოდ საათის ბუნებაში გატარებაც შეიძლება, ბილიარდით თუ კომპიუტერით გართობაც და დამსვენებლებთან მასლაათიც.

ბოლოს შოთა ხაბარელის ვარჯიშის ბოლო აკორდიც: „დიდი მადლობა ყველას, მშვენივრად იმუშავეთ, მაგრამ ცოტას მაინც ნერვიულობთ. იცოდეთ, ბიჭებო, ყველაფერი რიგზეა."

**ოთარ მაღლაკელიძე**
**ბადრი კეთილაძის ფოტოები**



ვარჯიში დამთავრდა და სუფრაც გაშლილია



არც თამაში გააფუჭებს საქმეს

### ფეხბურთი

**შვედეთი**

თასის მეოთხედფინალი

გაის 0:1 ჰამარბი

სუპერეტა. XVIII ტური

ნორჩიოპინგი 0:2 ატვიდაბერგი

**ფინეთი**

ვეიკაუსლიგა. XVIII ტური

ჰაკა 4:0 ინტერი

როვანიემი 1:1 ტპ-47

ლაჰტი 2:1 ტამპერე

იარო 1:2 ალიანსი

**ირლანდია**

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი

დერი სიტი 0:0 ბოჰემიანსი

**VODAFONE CUP 2004**

გოპა ხუნიორსი : ჰკ ეინდჰოვენი გადაიდო
მანჩესტერ იუნ : ურავა რედსი შეწყდა

**KAPPA CUP 2004**

ტოტენჰემი 1:1(პენ.0:1) პარტიზანი
ბეტისი 1:1(პენ.2:3) ფეიენოორდი

# თქვენც წადით!



ინგლისში გრძელდება ფეხბურთისა და სექსის სკანდალი. ფეხბურთის ასოციაციაში დატრიალებულ სასიყვარულო თავგადასავალს უკვე შეეწირა ასოციაციის შეფი მარკ პელიოსი, ვისაც მდივან ქალ ფარია ალამთან რომანი დაბრალდა. ამავ ქალთან რომანი ბრალდება ნაკრების მწვრთნელ სვენ-გორან ერიკსონსაც, რომლის ბედიც ჯერჯერობით გაურკვეველია. ასოციაციის ოფისის წინ კი თავს იყრიან მღელვარე ქომაგები. კათოლიკე მონაზონი [illegible] წესრიგისთვის ლოცულობს. ძველი გულშემატკივარი რეი იგანი კი საერთოდაც ძველებურად ჩაცმული მისულა სოჰოს მოედანზე და ერიქსონისა და დროებითი შეფის დევიდ დევისის გაგდებას ითხოვს.




REUTERS ლონდონიდან

# მარადიული ფეხსაცმელი

თუ თქვენს შვილს ფეხი სწრაფად ეზრდება, მაშინ 60 დოლარი უნდა გადადოთ და „ქეი-თუს" გამოშვებული ეს სპორტული ფეხსაცმელი უყიდოთ. ღილაკს დააჭერ და ზომა ერთი ნომრით იზრდება. კიდევ დააჭერ და კიდევ ერთი ნომრით...



# ფანტასტიკური და დაცული



REUTERS ათენიდან

ათენი მზადაა: ამაზე თუ ლაპარაკობენ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის თავკაცი ჟაკ როგი და საბერძნეთის პრემიერი კოსტას კარამანლისი. როგი მეცხრე დღეა ათენშია და ამბობს, რომ ოლიმპიადა ფანტასტიკური იქნება. ეს ფანტასტიკური ამბავი დაცულიც იქნება. ბერძნული ჯარის საგანგებო ნაწილები დღესაც ვარჯიშობენ. ოლიმპიადის უსაფრთხოება მილიარდი ევრო დაჯდა.



REUTERS ათენიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაб წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge